1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

ИЮНЬ **№ 6** ივნისი

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა წარმოებას 25/VIII-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/XI-86 წ.;
ქაღალდის ზომა 60×84; ანაწყობის ზომა $6^1/_4\times9$; ნაბეჭდი თაბახი 5,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,75.
შეკვეთა № 766 უე 10334 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

## ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ

F5400

კოლეგია აღნიშნავს, რომ მათემატიკის სასკოლო კურსის საფუძვლების ფუნდამენტურ გარდაქმნას ლოგიკურად მოჰყვა პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში არსებითი ცვლილებების შეტანა, გეომეტრიის სახელმძღვანელოს მთლიანად შეცვლა.

1983—1984 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიან სკოლაში VI კლასიდან თანამიმდევრულად ინერგება ა. პოგორელოვის გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლება.

განხორციელდა მათემატიკის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების სხვა საჭირო ღონისძიებები.

ამასთან, მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შემოწმებისა და არსებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის რიგ სკოლებში მათემატიკის სწავლების დონე ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, იმას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა აყენებენ სახალხო განათლების წინაშე მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერულ-ტექნიკური განათლებით შეიარაღების, მათი კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველსაყოფად.

რიგ სკოლებში მათემატიკის სწავლება მინდობილი აქვთ უმაღლესდაუმთავრებელ არაკვალიფიციურ მასწავლებლებს, ზოგ მათგანს გადამზადების კურსებიც კი არ აქვს გავლილი. მათემატიკის მასწავლებლებს ადგილებზე ვერ ეწევა სათანადო მეთოდური დახმარება, დაბალ დონეზე დგას ხელმძღვანელობა და კონტროლი. არასრულყოფილია სახალხო განათლების საბჭოების. განათლების განყოფილებათა მეთოდური კაბინეტების მუშაობა. სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში საკმარის ღონისძიებებს არ ახორციელებენ საგნის სწავლების გასაუმჯობესებლად.

მათემატიკის სწავლების დონის ამაღლებას გარკვეულწილად ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ხშირად იცვლება პროგრამები და სახელმძღვანელოები, რის გამოც მასწავლებლებს თითქმის ყოველ სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლო წელს უხდებათ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებშ[ი შეტა]ნილ ცვლილებებზე მუშაობა.

შემოწმებამ გამოავლინა, რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის მომზადების დაბალი დონე. მათ საფუძვლიანად არ იციან გავლილი პროგრამული საკითხები.

მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე გამოვლინდა მაიაკოვსკის რაიონის მე-2, სოფლების დიმის 1-ლ, წითელი ხევის, მეორე ობჩის, თერჯოლის რაიონის მე-2, სოფლების ჩხარის, ზედა საზანოს, ქვედა სიმონეთის, სიღნაღის რაიონის სოფლების საქობოს. მაღაროს, წნორის 1-ლი, გეგეჭკორის რაიონის სოფლების ბანძის, ონოღიის, სალხინოს, ლეხაინდრაოს, გორის რაიონის სოფლების ხიდისთავის, ახრისის, ზემო ნიქოზის, შინდისის, ჩოხატაურის რაიონის მე-2, სოფლების შუა განახლების, ვანზომლეთის, ქ. გორის მე-2, ქ ·თბილისის მე-11. მე-14,, 29-ე, 35-ე, 39-ე, 142-ე, 160-ე და სხვა საშუალო და რვაწლიანი სკოლების ცალკეულ კლასებში, რაც იმის შედეგია, რომ აღნიშნული სკოლების მათემატიკის მასწავლებლები გაკვეთილებს უხარისხოდ, თანამედროვე და ნაცადი მეთოდების, თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე ატარებენ.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების. განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის საქმიანობაში არასაკმარისი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ურთიერთკავშირს, რაც, გარკვეულწილად, ხელს უნდა უწყობდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობას და, საერთოდ, სკოლებში მათემატიკის სწავლების დონის გაუმჯობესებას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2. 1. ეს გადაწყვეტილება და თანდართული ცნობა 1986—1987 სასწავლო წლის პირველ ნახევარში განიხილონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, რისთვისაც წინასწარ შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა, გაატარონ ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა აღმოსაფხვრელად, შეიმუშაონ საგნის სწავლების გაუმჯობესე-ბის კონკრეტული პერსპექტიული გეგმა იმ ამოცანების შუქზე, რაც დასახა სკკპ 27-ე ყრილობამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და-ჩქარებისათვის, უზრუნველყონ აღნიშნული გადაწყვეტილების გან-ხილვა ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლის პედსაბჭოს სხდო-მებზე.

2. 2. 1986—1987 სასწავლო წლის განმავლობაში საფუძვლიანად შეისწავლონ მათემატიკის სასწავლო კაბინეტები და თვალსაჩინო იარაღ-ხელსაწყოებით სკოლების უზრუნველყოფის, მათი მოვლა-პატრონობისა და სწავლებაში გამოყენების საკითხი, არსებული მდგო-მარეობის შესაბამისად დასახონ და განახორციელონ სათანადო ღო-ნისძიებები.

2. 3. იზრუნონ მათემატიკაში ფაკულტატიური მეცადინეობისა და გაღრმავებული სწავლების კლასების და სკოლების ქსელის გასაფარ-თოებლად, 1986—1987 სასწავლო წლის I ნახევრის ბოლომდე განათ-ლების სამინისტროს წარმოუდგინონ აღნიშნული სკოლების დაზუს-ტებული სიები კლასებისა და მათში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენო-ბის ჩვენებით.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვი-ლის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი):

3. 1. 1986—1987 სასწავლო წლიდან მოაწყოს მათემატიკის მას-წავლებელთა რაიონული, სასკოლათაშორისო და სასკოლო მეთოდ-გაერთიანებათა ხელმძღვანელების მუდმივმოქმედი ზონალური სემი-ნარები ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში,

3. 2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან (ამხ. მ. დარჩია) ერთად შეიმუშაოს მათემატიკის მასწავლებელთა რაიონული, სასკოლათაშორისო და სასკოლო მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელების მუდმივმოქმედი ზონალური სემინარების ჩატარების გეგმა იმ ვარაუდით, რომ ყოველი სასწავლო წლის პირველ ან მეორე ნახევარში ადგილებზე მოეწყოს თითო ზონალური სემინარი.

3. 4. აღნიშნული სემინარების ადგილებზე ჩატარების ორგანიზა-ცია დაევალოთ სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის საქალაქო განათლების განყოფილებებს, ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია):

4. 1. თანმიმდევრულად განახორციელოს გაუმჯობესებული პრო-გრამების მიხედვით რუსული, ქართული, სომხური და აზერბაიჯანუ-ლი სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა გადამზადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. 2. მათემატიკის მასწავლებელთა 1986 წლის აგვისტოს კონფერენციებზე განსახილველად და შემდგომ მუშაობაში დანერგვისათვის მოამზადოს და გამოაქვეყნოს მეთოდიკური რეკომენდაციები 1986—1987 სასწავლო წელს მათემატიკის სწავლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX-X კლასების მოსწავლეებთან სასემინარო და სალექციო მეცადინეობების შესახებ.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

5. 1. დაუკვეთოს მოსწავლეთა კონტინგენტის შესაბამისად მათემატიკის სახელმძღვანელოები, დამხმარე მეთოდური და სხვა ლიტერატურა, დიდაქტიკური მასალები საკავშირო გამოცემათა გეგმის მიხედვით და მოაგვაროს მათი დროული გამოცემა ქართულ ენაზე; ამასთან, უზრუნველყოს მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმით დავალებული საკითხების მითითებულ ვადებში შესრულება.

5. 2. მოამარაგოს რესპუბლიკის სომხური და აზერბაიჯანული სკოლები მათემატიკის სახელმძღვანელოებით, დამხმარე მეთოდური ლიტერატურითა და სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით.

5. 3. ა. ვ. პოგორელოვის გეომეტრიის 6—10-ის ქართული თარგმანის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საშუალო, პროფტექნიკური და უმაღლესი სკოლების კომისიის მონაწილეობით აღნიშნული სახელმძღვანელოს უახლოეს გამოცემაში საჭირო შესწორებათა შეტანა.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) დროულად მოამზადოს მეთოდური მითითებები, რეკომენდაციები გაუმჯობესებული პროგრამებით მათემატიკის სწავლების საკითხებზე და სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე განხილვისა და მოწონების შემდეგ დაიყვანოს ისინი ადგილებზე.

7. განათლების სამინისტროს რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. გოგიტაძე) სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად რეგულარულად შეისწავლოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა, ღრმა ანალიზი გაუკეთოს არსებულ მდგომარეობას და პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლების ხელმძღვანელებსა და საგნის მასწავლებლებს ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

8. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქტორებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) შესაბამისად გაზეთსა და ჟურნალის საგნობრივ დამატებაში ფართო ადგილი დაუთმონ მათემატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე მეთოდურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკომენდაციებსა და სტატიებს, მოწინავე გამოცდილების განზოგა-დებას და სხვა.

9. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეცია-ლური განათლების სამინისტროს დაავალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების რექ-ტორებს, რათა შესაბამისმა კათედრებმა:

9. 1. მონაწილეობა მიიღონ მათემატიკის მასწავლებელთა რაიო-ნულ და სასკოლო მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელების ზონა-ლური სემინარების მუშაობაში.

9. 2. რეგულარულად მოაწყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლე-ბის მათემატიკის მასწავლებელთა სემინარები და კონსულტაციები სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

9. 3. მონაწილეობა მიიღონ მათემატიკის მასწავლებელთათვის დამხმარე მეთოდური ლიტერატურის, მოსწავლეთა კლასგარეშე სა-ვარჯიშო კრებულების, სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო-დიდაქ-ტიკური მასალების მომზადება-გამოცემაში.

10. ქ. თბილისის ლენინის, გლდანის, ოქტომბრისა და ორჯონი-კიძის, გეგეჭკორის, გორის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, ჩოხა-ტაურის რაიონების, ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიმდინარე წლის ბოლომდე შეისწავლონ ცნობაში აღნიშნუ-ლი იმ მასწავლებლების მუშაობა, რომლებიც სუსტად ასწავლიან სა-განს და მორიგი ატესტაციის დროს განიხილონ მათი ამ თანამდებო-ბაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

11. ამ გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალ-ხო განათლებაში" (ამხ. ნ. შველიძე), დაიბეჭდოს განათლების სამი-ნისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

12. სკოლების სამმართველომ (ამხ. ე. ქურციკიძე) დააწესოს კონ-ტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე და მისი შესრულების მიმდინარეობა შეამოწმოს 1988 წლის 1-ლ კვარტალში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის პირველი მოადგილე
ლ. ი. ბაბუა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმიდან გამომდინარე მათემატიკის სასკოლო კურსის სწავლების მიმდინარე გარდაქმნები მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია მათემატიკის მეცნიერებისა და სხვა სასწავლო საგნებს შორის ცხოვრებისეული კავშირის აუცილებელი განხორციელების საქმეში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალი სტრუქტურის შესაბამისად პროგრამებში ფართოდ აისახება თანამედროვე მათემატიკური იდეები, საგნის სადღეისო სწავლება, რაც გულისხმობს სასკოლო კურსის ათვისებაში მოსწავლეთა შეგნებულობის მკვეთრ ამაღლებას, ამასთან მოსწავლეთა შეიარაღებას კომპიუტერული წიგნიერებით, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ცოდნითა და გამოყენების უნარით.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანია განხორციელებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების დონის ასამაღლებლად.

ქ. თბილისის მე-11, მე-14, მე-15, 29-ე, 35-ე, 39-ე, 142-ე, 160-ე და ქ. გორის, გორის, გეგეჭკორის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, სიღნაღის რაიონების ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემოწმებისა და ჩვენს ხელთ არსებული სხვა მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

1980 წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო 1696 საშუალო სკოლიდან 1057-ს, ხოლო 942 რვაწლიანი სკოლიდან 161-ს გააჩნდა მათემატიკის სასწავლო კაბინეტები, ამჟამად კი აღნიშნული კაბინეტების რიცხვი 1453-ს შეადგენს.

საგრძნობი ცვლილებები მოხდა მათემატიკის მასწავლებელთა შემადგენლობაში. ამჟამად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე 8445 მათემატიკის მასწავლებლიდან 98% სპეციალური უმაღლესი განათლებითაა.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სისტემატურად მუშაობს თავის თავზე, კვალდაკვალ მისდევს სიახლეებს, ცდილობს ყოველი გაკვეთილი ჩაატაროს სასკოლო რეფორმიდან გამომდინარე მოთხოვნათა დონეზე.

ამასთან, შემოწმების შედეგებისა და არსებული მასალების ღრმა ანალიზით ისიც ირკვევა, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა ჯერ-ჯერობით სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება. რიგი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები, მათი მეთოდური კაბინეტები და სკოლები არასაკმაო მუშაობას ეწევიან მათემატიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. არსებული მონაცემების მიხედვით 1185 საშუალო და რვაწლიან სკოლას სრულებით არ აქვს მათემატიკის სასწავლო კაბინეტები და სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა წყალტუბოს ზონის, ახმეტის, გორის, ვანის, თერჯოლის, მარნეულის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, ხაშურის, ჩოხატაურის, წალკისა და ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) საშუალო და რვაწლიან სკოლებში.

სკოლები, ძირითადად, უზრუნველყოფილი არიან მათემატიკის სახელმძღვანელოებით, მაგრამ ზოგჯერ გვიანდება ახლად გადამუშავებული სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა, პროგრამებში კი ხშირად საჭირო ხდება კორექტივების შეტანა, ამის გამო ერთგვარი შეუსაბამობა წარმოიშობა ხოლმე პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს შორის, რაც გარკვეულად ხელს უშლის მათემატიკის მასწავლებელთა ნორმალურ მუშაობას.

ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოგვარებული მათემატიკის მასწავლებელთა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოებით და ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმე.

მათემატიკის მასწავლებელთა დასახმარებლად არასაკმარისად იწერება და გამოდის ქართული ორიგინალური სტატიები, რეკომენდაციები და სხვა სახის მეთოდური ლიტერატურა, რაშიც გარკვეულწილად ბრალი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითსა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებს მიუძღვით. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ციკლის საგნების განყოფილებას სახელმძღვანელოების სამმართველოსათვის 3 წელია ჩაბარებული აქვს გამოსაცემად მეთოდური სახელმძღვანელო „გეომეტრიის სწავლების საკითხები“, მაგრამ იგი დღესაც არ არის გამოცემული.

შემოწმებით ირკვევა აგრეთვე, რომ მათემატიკის მასწავლებლებს ადგილებზე ვერ ეწევა საჭირო და სათანადო ხელმძღვანელობა. კონტროლი და დახმარება, არასრულყოფილია სახალხო განათლების საბჭოების, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან არსებული მეთოდური კაბინეტების მუშაობის ფორმები და მეთოდები, მათემატიკის მასწავლებელთა რაიონული (საქალაქო), სასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათაშორისო და სასკოლო მეთოდგაერთიანებათა საქმიანობა, სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ აღნიშნული საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეს, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ იხილავენ ან იშვიათად იხილავენ მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ეპიზოდურად ისმენენ მათემატიკის გაკვეთილებს და სხვა. მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების (ამხ. გ. თავხელიძე) სახალხო განათლების საბჭოს უკანასკნელი სამი წლი სმანძილზე არ განუხილავს საკითხი რაიონის სკოლებში მათემატიკის სწავლებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. სარაიონო მეთოდგაერთიანებების სხდომებზე არ იხილავენ საჭირო და აქტუალურ საკითხებს, არ ახდენენ მოწინავე გამოცდილებათა შესწავლა-განზოგადებას, განხილულ საკითხებზე წაკითხული მოხსენებები ძალზე ზერელე და ზოგადი ხასიათისაა. თერჯოლის რაიონის (ამხ. ც. ღიბრაძე, ამხ. გ. რობაქიძე) მაეთმატიკის მასწავლებლები ვერავითარ დახმარებას ვერ ღებულობენ განათლების განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტისაგან, მეთოდკაბინეტს არავითარი მასალა არ აქვს საგნის სწავლებასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობის შესახებ.

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელი ხევის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ჯაფარიძეს მიმდინარე სასწავლო წელს მათემატიკის არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენია, მის მოადგილეს კ. მიქიაშვილს (სპეციალობით მათემატიკოსი) კი მხოლოდ ორი გაკვეთილი აქვს მოსმენილი, ამ სკოლაში ბოლო ორი წლის მანძილზე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ განხილულა საკითხი აღნიშნული საგნის სწავლების მდგომარეობის შესახებ. ამავე რაიონის სოფელ მეორე ობჩის რვაწლიან სკოლაში სკოლის დირექტორ თ. სამხარაძეს (სპეციალობით მათემატიკოსი) მხოლოდ ერთი, მის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში რ. ყაჭეიშვილს კი ორი გაკვეთილი აქვს მოსმენილი მათემატიკაში, საგნის სწავლების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რ. ყაჭეიშვილს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე საკითხი 1-ლი სემესტრის შედეგების შესახებ ისე აქვს გამოტანილი და განხილული, რომ არაფერი არა აქვს აღნიშნული მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ.

თერჯოლის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლაში (ამხ. მ. ხუჯაძე) უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არც ერთხელ არ არის შესწავლილი და მსჯელობის საგნად გამხდარი მათემატიკის სწავლების მდგომარეობა და, ცხადია, არ არის განხილული ამ საკითხზე განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ 1980 წლიდან დღემდე სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებები.

მათემატიკის გაკვეთილების მოსმენისა და პედაგოგიური საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის საქმეში ანალოგიური ნაკლოვანებები ვლინდება მაიაკოვს-კის რაიონის მე-2 (ამხ. დ. კვირიკაძე), სიღნაღის რაიონის სოფელ წნო-რის 1-ლ, სიღნაღის რაიონის, სოფელ მაღაროს (ამხ. ამხ. გ. ბ[illegible]-შვილი, დ. აბრამიშვილი, გ. მირაშვილი), თერჯოლის რაიონის სოფელ საზანოს (ამხ. გ. კუპატაძე), ქ. თბილისის მე-11 მე-14, 29-ე და 35-ე (ამხ. ამხ. გ. ცხოვრებოვა, ზ. ქარჩავა, გ. კაშია, ვ. ნასარიძე) საშუალო სკოლებში.

ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული სკოლების მასწავლე-ბელთა ერთი ნაწილის მუშაობა, რაც, ძირითადად, იმით აიხსნება, რომ ისინი არ ცდილობენ საკუთარი კვალიფიკაციისა და მეთოდური დახელოვნების დონის ამაღლებას, ამიტომ კარგად ვერ ატარებენ გა-კვეთილებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა დამოუ-კიდებელი მუშაობისა და აქტიური აზროვნების უნარ-ჩვევების გამო-მუშავებას, უპასუხისმგებლოდ ასწორებენ საკლასო-საშინაო და სა-კონტროლო წერების რვეულებს და სხვა.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან მასწავლებლები: ჯ. ადამია, ნ. ლილუაშვილი, ფ. კობახიძე, ზ. გიორგაძე (მაიაკოვსკის მე-2, სოფ-ლების ღიმის 1-ლი, წითელხევის, მეორე ობჩის საშუალო და რვა-წლიანი სკოლები); გ. ბეჟიკოშვილი, დ. აბულაძე, დ. ჭანტურიძე, ზ. ზარნაძე, კ. სულამანიძე, მ. ვაჩეიშვილი (თერჯოლის მე-2, სოფლე-ბის ჩხარის, ზედა საზანოს, ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლები); ნ. ნანობაშვილი, ნ. გოროხოვა, ვ. ჩულაშვილი, ნ. ოტიაშვილი, ლ. ხმა-ლაძე, ნ. ზურაბიშვილი. ქ. ჯანყარაშვილი, ლ. დარჩაშვილი (სიღნაღის რაიონის სოფლების საქობოს, მაღაროს, წნორის 1-ლი საშუალო სკოლები); ნ. ჯოჯუა, ვ. კეკელია, დ. კვანტალიანი, ჯ. მიქაია, მ. ჭყო-ნია, შ. კუხალაშვილი, მ. თოდუა, შ. დანელია (გეგეჭკორის რაიონის სოფლების ბანძის, ონოღიის, სალხინოს, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლები); მ. დაღელაშვილი, ქ. ჩუხრუკიძე, მ. კანდელაკი, დ. თოფუ-რიანი (გორის რაიონის სოფლების ხიდისთავის, ახრისის, ზემო ნიქო-ზის, შინდისის საშუალო სკოლები); ც. მაისურაძე (ქ. გორის მე-2); მ. ურუშაძე, ც. ბერიკაშვილი, ე. ყაჭეიშვილი (ჩოხატაურის მე-2, სოფლების შუა განახლების, ვანზოვლეთის საშუალო სკოლები); ი. ვიზელმანი, ლ. ზელეცკაია, ხ. ჯაში, ა. დიმიტრენკო, ბ. შაინიანი, შ. სვანიძე, ლ. ბერძენიშვილი, ნ. აბაშმაძე, ლ. ხუჭუა, ლ. ლომთაძე, მ. კვაჭანტირაძე, ს. ფარეშიშვილი, ლ. მესხიშვილი, ს. ტეტუნაშვილი, ლ. ციცქიშვილი (ქ. თბილისის მე-11. მე-14, 29-ე, 35-ე, 39-ე, 142-ე, 160-ე საშუალო სკოლები).

ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების საშუალო სკოლის მე-6, მე-7, მე-8 კლასების მათემატიკის მასწავლებელმა ც. ბერიკა-შვილმა არ იცის საგანი, მისი სწავლების მეთოდები და რა გასაკვი-რია, რომ მისი მოსწავლეებიც სრულ უცოდინარობას ამჟღავნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელია მასწავლებელ ე. ყაჭეიშვილის მუშაობა (ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანზოვლეთის საშუალო სკოლა), ძალზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე, მე-6 კლასის არც ერთმა მოსწავლემ არ იცის მონაკვეთის გაზომვის ძირითადი თვისება, ვერ ხსნის მარტივ ამოცანებს ამ თემაზე. მიმდინარე და განვლილი საპროგრამო მასალა სუსტად იციან მე-8 კლასის მოსწავლეებმაც და მათ არ აქვთ ნათელი და მყარი წარმოდგენა ვექტორის ცნებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მასწავლებელი შეცდომებს უშვებს განსაზღვრებების გამოთქმისას. მაგალითად, მასწავლებელი აღნიშნავს: „თუ მოდულები ტოლია, მაშინ ვექტორები ერთნაირი მიმართულების არის“, რაც არ არის სწორი და სხვ. ჩანს, რომ მასწავლებელი მოუმზადებელი შედის გაკვეთილებზე. გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი მუშაობა უჭირს აგრეთვე მასწავლებელ მ. ურუშაძეს (ჩოხატაურის მე-2 საშუალო სკოლა). ამის შედეგია, რომ ძალზე დაბალი ცოდნა გამოავლინეს მე-6 კლასის მოსწავლეებმა: არ იციან მონაკვეთისა და კუთხეების გაზომვის ძირითადი თვისებები, ვერ ხსნიან ამოცანებს დასახელებული თემისა და სხვა საკითხების ირგვლივ.

ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. შაინიანი სუსტად ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, არ აწარმოებს ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგების მომდევნო გაკვეთილზე გაანალიზებას, ვერ ამყარებს კავშირს განვლილ და ახალ მასალას შორის და ვერც ამის საჭიროებას ხედავს. სათანადო ყურადღებას არ აქცევს განვლილი მასალის გამეორებას. შეინიშნება, რომ განტოლებათა ამოხსნის დროს უგულებელყოფს გარეშე ფესვების არსებობის დადგენას მაშინაც კი, როცა ეს აუცილებელია, უშვებს მეცნიერული ხასიათის შეცდომებს — „წერტილთა გეომეტრიული ადგილის“ ნაცვლად ხმარობს „წერტილთა სიმრავლეს“ და სხვა.

დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ს. ფარეშიშვილი. მან მე-9 კლასში ახალი მასალის „რიცხვითი არგუმენტის სინუსი და კოსინუსი“ ახსნისას შეცდომები დაუშვა ერთსა და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა შორის დამოკიდებულების საბოლოო ფორმულების მიღება-ჩაწერისას; მე-10 კლასში ირაციონალურ განტოლებაზე მუშაობისას საჭირო ყურადღება არ დაუთმო განტოლებათა ფესვების შემოწმებას, გარეშე ფესვების არსებობის მოსალოდნელ შემთხვევებს. ძალზე უხეში შეცდომებია დაშვებული ამ მასწავლებლის მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში, რაც შეუნიშნავად და გაუსწორებლად არის დატოვებული, უფრო მეტიც, ნაწერებში წითელი ხაზებია გასმული იქ, სადაც ეს საჭირო არ არის. კურიოზია, რომ მასწავლებლის მიერ წითელი მელნით გაკეთებული ზოგიერთი ჩასწორება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორი არ არის. დირექციას 1984 წლის ნოემბერსა და 1985 წლის თებერვალში შეუმოწმებია სკოლაში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა და ეს საკითხი ორჯერვე განუხილავს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ ს. ფარეშიშვილის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული და ორჯერ აქვს გამოცხადებული საყვედური. ს. ფარეშიშვილის სუსტი მუშაობა განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაშიც აღინიშნა, მაგრამ მის მიმართ უფრო მკაცრი და სათანადო ზომები დღემდე არ გატარებულა.

ვერ ფლობს საგანს და მისი სწავლების ხერხებს მასწავლებელი ნ. აბაშმაძე (ქ. თბილისის 35-ე საშუალო სკოლა). იგი გაკვეთილებზე მოუმზადებელი შედის, საჭიროდ არ მიაჩნია გაკვეთილის გეგმის შედგენა, წინასწარ არ აქვს მოფიქრებული ძირითადი საკვანძო კითხვები, რაზედაც ყურადღება უნდა გაამახვილოს. მე-7 კლასში გაკვეთილზე მის მიერ დასმულ კითხვებზე მოსწავლეებმა არასწორი პასუხები გასცეს. საერთოდ, დაბალია ამ კლასის მომზადების დონე. ამავე მასწავლებლის მიერ ცუდად არის გასწორებული საკონტროლო წერის რვეულები. ხშირ შემთხვევაში მასწავლებელი ნიშანსაც არაობიექტურად წერს და სხვა.

ძალზე ცუდი შედეგები გამოავლინა შემოწმების დროს ჩატარებული საკონტროლო წერითი ნამუშევრების ანალიზმა. ასე, მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლის მე-10 კლასში (მასწ. შ. კუხალაშვილი) 17 მოსწავლიდან ალგებრა და ანალიზის საწყისებში ვერც ერთმა ვერ შეასრულა მიცემული დავალება, რის გამოც ყველამ ორიანი დაიმსახურა. მათ შორის ორიანები მიიღეს იმათაც, რომლებსაც სემესტრულ ნიშნად ამ საგანში ოთხები ეწერათ. ამავე სკოლის მე-8 კლასის 18 მოსწავლიდან (მასწ. მ. თოდუა) 12-ის ნამუშევარი ორიანზეა შეფასებული. ამავე რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის 19 მეათეკლასელიდან (მასწ. ნ. ჯოჯუა) გეომეტრიის საკონტროლო წერაზე 12 მოსწავლე ორიანზე შეფასდა.

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლის მე-9 კლასში (მასწ. დ. ჭანტურიძე) 6 თებერვალს გეომეტრიაში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 23 მოსწავლიდან 17-ს დადებითი შეფასება უწერია, შემოწმების დროს (20 თებერვალს) გეომეტრიაში იმავე კლასში იმავე მასალაზე ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად 23-დან 14-მა ორიანი მიიღო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკონტროლო წერა, რომელიც 6 თებერვალს ჩატარდა, მოუმზადებელი იყო ან წერის დროს ადგილი ჰქონდა გადაწერას, ხოლო ნამუშევრების გასწორებისას — არაობიექტურობას. ამავე სკოლის მე-8 კლასში (მასწ. ზ. ზარნაძე) ალგებრაში 31 მოსწავლიდან 17-მა ორიანი მიიღო. სოფელ

ჩხარის საშუალო სკოლის მე-10 კლასში (მასწ. დ. აბულაძე) ალგებრა და ანალიზის საწყისებში 54 მოსწავლიდან 30 ორიანზე შეფასდა. მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის 39 მოსწავლიდან (მასწ. ვ. ბექიტაშვილი) 23 მოსწავლის ნამუშევარი ალგებრა და ანალიზის საწყისებში ორიანზე შეფასდა, ხოლო ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის 22 მოსწავლიდან (მასწ. ა. ჩიტიაშვილი) ალგებრა და ანალიზის საწყისებში წერის შედეგად 17-მა ორიანი დაიმსახურა.

საკონტროლო წერისათვის მაგალითების შერჩევისას უხეში შეცდომები აქვს დაშვებული ქ. თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მასწავლებელ ლ. მესხიშვილს. ამასთან ნამუშევარში გაუსწორებლადაა დატოვებული მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები და სხვა.

ანალოგიური ნაკლოვანებები გამოვლინდა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩის, წითელი ხევის, დიმის 1-ლ, მაიაკოვსკის მე-2 (მასწავლებლები: ზ. გიორგაძე, ვ. მიქიაშვილი, ნ. ლილუაშვილი, ფ. კობახიძე, ზ. გიორგაძე), სიღნაღის რაიონის სოფლების საქობოს, წნორის 1-ლ, მაღაროს (მასწავლებლები: ნ. ნანობაშვილი, ვ. ჩულაშვილი, ნ. ზურაბიშვილი, ლ. დარჩაშვილი, ლ. ხმალაძე, ნ. ოტიაშვილი), გორის რაიონის სოფლების: ხიდისთავის, შინდისის (მასწავლებლები: მ. დალელაშვილი, დ. თოფურია), ქ. თბილისის მე-11, 35-ე, 142-ე (მასწავლებლები: შ. შაინიანი, ვ. ხოჭოლავა, ი. სიხარულიძე) საშუალო სკოლებში.

ჩატარებული საკონტროლო წერების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითად მიზეზს ზემოაღნიშნულ მასწავლებელთა არასაკმაო მუშაობა წარმოადგენს. კერძოდ, ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების აღზრდას, სისტემატურად არ ამოწმებენ და არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო და საშინაო დავალების რვეულებს, არაობიექტურად, დაუმსახურებლად მაღალი ნიშნით აფასებენ საკონტროლო ნამუშევრებს და სხვ. ამის გამო, როგორც ჩანს, მოსწავლეები შეჩვეული არიან მაღალი ნიშნის, ყოველ შემთხვევაში „სამიანის“ მაინც დაუმსახურებლად მიღებას. შეფასების ნიშანს დაკარგული აქვს თავისი აღმზრდელობითი ფუნქცია და ძირითადი მიზანი.

ჩოხატაურის რაიონის სოფლების: გოგოლის უბნის, შუა განახლების, ქვენობნის, საჭამიასერის, ვანის რაიონის ვანის 1-ლი, სულორის, ლანჩხუთის რაიონის სოფლების: ხაჯალიას, აკეთის, მამათის, ლანჩხუთის 1-ლ, მე-3; გურჯაანის რაიონის სოფლების: შაშიანის, კალაურის, შრომის, ვაზისუბნის, ბაკურციხის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მე-8 კლასების დამამთავრებელ და მე-10 კლასების გამოსაშვებ გამოცდებზე მათემატიკაში მოსწავლეთა მიერ შესრულებული წერითი ნამუშევრების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი გამოცდებზე მოუმზადებელი მოდის, დაბალია მათი ცოდნის დონე და წერის კულტურა, ნამუშევართა დიდი ნაწილი გადაწერილია, დაშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული შეცდომები გამომცდელი მასწავლებლისა და კომისიის წევრებისაგან შეუნიშნავია და ამის გამო შეფასებაც არაობიექტურია.

საერთოდ, დაბალია შემოწმებული სკოლების მოსწავლეთა ზოგადი მათემატიკური განათლება, რაც, ძირითადად, იმით არის განპირობებული, რომ სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა მათემატიკის საგნობრივი წრეებისა და ამ საგანში კლასგარეშე მუშაობის საქმეს. წრის მეცადინეობებზე განსახილველი საკითხები ზოგადია, უფრო მეტად თეორიული ხასიათისაა, არ იხილავენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს, არ ხსნიან საოლიმპიადო ამოცანებს და მაგალითებს, ამიტომაც ნაკლებია მოსწავლეთა დაინტერესება. სკოლებში არ ეწყობა მათემატიკური საღამოები, არ გამოდის კედლის გაზეთები, რომლებშიც მოთავსებული იქნება მათემატიკური „თავსატეხი“ ამოცანები და სხვა საინტერესო მასალები, დაბალ დონეზე დგას ფაკულტატიური მეცადინეობა და სხვა. სწორედ ესეც არის იმის მიზეზი, რომ შემოწმებული და, საერთოდ, რესპუბლიკის სკოლების მხოლოდ მცირე ნაწილი მონაწილეობს მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში.

მაიაკოსკის 1-ლი საშუალო სკოლის IV—VIII კლასების მოსწავლეთა მათემატიკის საგნობრივი წრის (ხელმძღვანელი მ. სიგუნავა) სამუშაო გეგმაში მხოლოდ თეორიული საკითხებია შეტანილი, გეგმა განუხილავი და დაუმტკიცებელია.

ფორმალურ ხასიათს ატარებს გეგეჭკორის რაიონის სკოლებში მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობა, დაცული არ არის სხვადასხვა ასაკისა და კლასის მოსწავლეთა წრეებში ჩაბმის პრინციპი, უვარგისია სამუშაო გეგმები და განხილული მოხსენებები.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის საშუალო სკოლის მათემატიკის საგნობრივ წრეებში მე-10 კლასის მოსწავლეები არ არიან გაერთიანებული, წრის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს სტაჟიორ მასწავლებელ ხ. გელავას, რომელსაც ამ საქმიანობის არავითარი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება როგორც ამავე რაიონის სოფლების: ონოღიის, ლეხაინდრაოს, ასევე სიღნაღისა და თერჯოლის რაიონების შემოწმებული საშუალო სკოლების, აგრეთვე ქ. თბილისის მე-14, 29-ე, 35-ე საშუალო სკოლების მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობა.

ქ. გორის, გორისა და მაიაკოვსკის რაიონების, ქ. თბილისის მე-14, მე-15, 35-ე და სხვა შემოწმებულ სკოლებში უგულებელყოფილია ფაკულტატიური მეცადინეობა, რამეთუ, მართალია, იგი შემოღებულია, მაგრამ თავის დანიშნულებას არ ასრულებს.

ახალციხის, ახმეტის, ვანის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ხობისა და სხვა რაიონების სკოლებიდან

წლების მანძილზე მათემატიკის ოლიმპიადის დასკვნით ტურში მონაწილეობა არც ერთ მოსწავლეს არ მიუღია, აგრეთვე შეინიშნება, ადგილებზე ნაკლებად მუშაობენ ოლიმპიადაზე გამოსაგზავნ მოსწავლეთა შერჩევა-მომზადებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკის სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ადგილებზე სკოლის ხელმძღვანელი კადრები კარგად არ არიან შერჩეული და დანიშნული, ბევრგან სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე ერთი და იმავე ციკლის საგნების სპეციალისტები არიან.

გეგეჭკორის რაიონის მე-9 საშუალო და მე-7 რვაწლიანი სკოლის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში არც ერთი არ არის მათემატიკის სპეციალისტი.

ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება თერჯოლის მე-2, სოფლების: ახალთერჯოლის, ზემო სიმონეთის, ალისუბნის, ჭოგნარის, რუფოთის, ნახშიროღელის, მაიაკოვსკის 1-ლი, სოფლების ჩხარის, სიღნაღისა და სხვა რაიონების საშუალო და რვაწლიან სკოლებში.

გეგეჭკორის რაიონის სოფლების ლეხაინდრაოს, სერგიეთის, ლეცავეს, თერჯოლის რაიონის 1-ლი, სოფლების ეწერის, თუზის და რესპუბლიკის რიგ სხვა საშუალო და რვაწლიან სკოლებში მათემატიკას უმაღლესდაუმთავრებელი და არაკვალიფიციური მასწავლებლები ასწავლიან. ამასთან, განათლების განყოფილებათა გამგეები და სკოლის დირექტორები იმასაც კი ვერ აგვარებენ, რომ ეს მასწავლებლები კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გაგზავნონ.

თერჯოლის რაიონის სოფლების ეწრისა და თუზის საშუალო სკოლებში მათემატიკას ასწავლიან დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლები ჯ. ცხადაძე და ე. კუპატაძე, რომელთაც კვალიფიკაციის ამაღლების კურსები 5—6 წელია არ გაუვლიათ. თერჯოლის 1-ლი საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ი. კოზირიძეს, რომელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს და ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულია, 1982 წლიდან კვალიფიკაცია არ აუმაღლებია და არც არავითარი მუშაობა წარმოებს მასთან. კვალიფიკაციის ამაღლებას თავს არიდებენ აგრეთვე მასწავლებლები: ნ. გრძელიძე. დ. აბულაძე, ი. ვირსალაძე (თერჯოლის რაიონის სოფლების ჩხარის, ზედა საზანოს საშუალო სკოლები); ლ. მანჯაფარიშვილი, დ. ბრეგვაძე, ქ. ჯანყარაშვილი, თ. ოზაშვილი (სიღნაღის რაიონის სოფლების საქობოს, წნორის 1-ლი, მაღაროს საშუალო სკოლები); გ. ბასილაია, ხ. გელავა, ა. ესართია (გეგეჭკორის რაიონის სოფლების სალხინოს, ბანძის, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლები).

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მიერ უკანასკნელ ხანს მოწყობილ მათემატიკის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მასწავლებელთა სრულყოფილად გამოცხა-

დება ვერ უზრუნველყვეს წალკის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ასპინძის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებებმა. წალკის რაიონიდან გამოცხადდა 3, ნაცვლად 8-სა, ბოლნისის რაიონიდან 3, ნაცვლად 7-სა. ასეთივე მდგომარეობა აღინიშნა სხვა რაიონების მიერ დახელოვნების კურსებზე მასწავლებელთა მივლინების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების სამმართველო

F5400

დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (1986—1990 წ. წ.)

| | ღონისძიებათა დასახელება | შემსრულებელი | შესრულების დრო |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | მათემატიკის ახალი პროგრამების გამოცემა, მათ შესაბამისად მოქმედი სახელმძღვანელოებით სარგებლობის შესახებ დაშვებული რეკომენდაციების თარგმნა-გადამუშავება და მასწავლებლებამდე დაყვანა | სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად | 1986 წ. |
| 2 | მათემატიკის ახალი პროგრამების შესაბამისად გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელოებით, დიდაქტიკური მასალებით და მასწავლებელთა დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფა (აღნიშნული მასალების დროული თარგმნა-გამოცემა) | სახელმძღვანელოების სამმართველო | 1986 წ. და შემდეგ სახელმძღვანელოების სამმართველოს სპეცგეგმის მიხედვით |
| 3 | მათემატიკაში ფაკულტატიური კურსის და გაღრმავებული სწავლების ახალი პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა | სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად | 1987 წ. და შემდეგ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 4 | ფაკულტატიური მეცადინეობისა და გაღრმავებული სწავლების სკოლების არსებული ქსელის გაფართოება | სკოლების სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | 1987—1989 წ. წ. |
| 5 | რესპუბლიკის თითოეულ ქალაქსა და რაიონში მათემატიკის საყრდენი სკოლების შერჩევა-მოწყობა, მათთვის საჭირო დახმარების მიზნით საშეფო მუშაობის ორგანიზება | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | 1986—1988 წ. წ. [illegible]ლებიდან წარმოდგენილი განაცხადის მიხედვით |
| 6 | ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში სახალხო განათლების განყოფილებებთან (სამმართველოსთან) მათემატიკის მასწავლებელთა რაიონული და სასკოლო მეთოდგაერთიანებების ხელმძღვანელთა მუდმივმოქმედი ზონალური სემინარების ჩატარება | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, დასახელებული ქალაქების განათლების განყოფილებები (სამმართველო) | 1986 წლის სექტემბრიდან სისტემატურად, სასწავლო წლის I ან II ნახევარში |
| 7 | მათემატიკის სწავლების საკითხებზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული და ადგილზე მომზადებული მეთოდური წერილების ბროშურებად გამოცემა ან პედაგოგიურ პრესაში გამოქვეყნება | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი | 1986—1990 წ. წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 8 | მათემატიკაში რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კითხვის მომზადება-ჩატარება | ი. ვოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი | 1987—1990 წ. წ. |
| 9 | მათემატიკის მასწავლებელთა სარაიონო მეთოდგაერთიანებათა ხელმძღვანელების, რაიონის განათლების განყოფილებათა მეთოდკაბინეტების მათემატიკის მეთოდისტების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მათემატიკის კაბინეტების გამგეებისა და მეთოდისტების თათბირ-სემინარის მომზადება-ჩატარება მათემატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე | განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტებთან ერთად | 1988 წ. |
| 10 | მათემატიკაში სხვადასხვა სახის პლაკატებისა და გრაფიკების მომზადება-გამოცემა | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, განაოლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწვლო-მეთოდური კაბინეტი, სახელმძღვანელოების სამმართველო | 1986—1989 წ. წ. |
| 11 | მათემატიკაში გამოშვებული დიაფილმების მოკლე ანოტირებული ცნობარის შედგენა-გამოცემა | განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ფილმოთეკა, სახელმძღვანელოების სამმართველო | 1986—1987 წ. წ. |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 12 | სკოლების უზრუნველყოფა სასკოლო მიკროკალკულატორებით | მომარაგების მთავარი სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები | 1986—1990 წ. წ. |
| 13 | მეთოდიკური რეკომენდაციების შედგენა მათემატიკაში სასწავლო დიაფილმების სწავლებაში გამოსაყენებლად | განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ფილმოთეკა, სახელმძღვანელოების სამმართველო | 1987—1988 წ. წ. |
| 14 | მათემატიკაში ცალკეული სასწავლო თემის მიხედვით კოდოპოზიტივების ნიმუშების მომზადება ქართულ ენაზე | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ფილმოთეკა, სახელმძღვანელოების სამმართველო | 1988—1989 წ. წ. |
| 15 | მათემატიკაში კლასგარეშე მუშაობის რეკომენდაციების მომზადება-გამოცემა | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, სახელმძღვანელოების სამმართველო | 1987—1989 წ. წ. |
| 16 | მათემატიკის VIII და X კლასების დამამთავრებელი და გამოსაშვები გამოცდებისათვის ამოცანებისა და მაგალითების კრებულების მომზადება | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები | VIII კლ. 1988—1989 წ. წ.<br>X კლ. 1989—1990 წ. წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 17 | მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო მეთოდური და სხვა სახის ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფა | სახელმძღვანელოების სამმართველო | |
| 17.1 | თარგმნა და გამოცემა: | | |
| | — Бурнев Ю. И. и др. — Углубленное изучение алгебры и математического анализа (методические пособия) | | 1988—1989 г. г. |
| | — Микрокалькулятор — школьнику для учащихся старших классов по организации вычисления), автор Н. Биленкин и др. | | 1987—1988 г. г. |
| | — Задачи по математиче для 4—5 классов. Методические рекомендации и набор задач к учебнику 4—5 кл., автор А. Чесноков | | 1988—1989 г. г. |
| | — Факультативный курс по математике для 7—8 кл. | | 1989—1990 г. г. |
| | — Факультативный курс по математике для 9 кл. | | 1990 г. |
| | — Методика факультативных занятий по математике для 7—8 классов | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | |
|---|---|---|---|
| | (методическое руководство к учебным пособиям для факультативных занятий) | | 1990 г. |
| 17.2 | მომზადება და გამოცემა: | | |
| | — კომლაძე კ. — მიახლოებითი გამოთვლების ელემენტები მათემატიკის განმეორების კურსში | | 1986 წ. |
| | — ნ. თოფურიძე — სამუშაო რვეულები მათემატიკაში V კლასისათვის | | 1987—1989 წ. წ. |
| | — შ.ბაკურაძე — ამოცანების ამოხსნის მეთოდები (მასწავლებელთა დასახმარებლად) | | 1987—1988 წ. წ. |
| | — შ. ბაკურაძე — მათემატიკის სწავლების ეფექტურობის ამაღლების გზები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შუქზე | | 1988—1989 წ. წ. |
| | — რ. ოვნანიანი — გეომეტრიული ამოცანების სხვადასხვა ხერხით ამოხსნა, როგორც მოსწავლეთა მათემატიკური აზროვნების განვითარების საშუალება | | 1987—1988 წ. წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | — თ. ბეიტრიშვილი — დედუქციური აზროვნების განვითარება მოსწავლეებში გეომეტრიის სწავლებისას | | 1988—1989 წ. წ. |
| | — ნ. თოფურიძე — ალგებრის სწავლების ეფექტურობის ამაღლებისათვის | | 1987—1988 წ. წ. |
| | — ი. ხუციშვილი — პრაქტიკული სამუშაოები მათემატიკის გაკვეთილებზე | | 1987—1988 წ. წ. |
| | — ი. ხუციშვილი — კლასგარეშე სამუშაო წიგნი მათემატიკაში (მოსწავლეთათვის) | | 1988—1989 წ. წ. |
| | — მ. გოხიძე — ინტერვალთა მეთოდის გამოყენება მათემატიკის სასკოლო კურსში | | 1988—1989 წ. წ. |
| | — ა. ფარჯანაძე — მათემატიკის სწავლების ზოგადი მეთოდიკა | | 1989—1990 წ. წ. |
| 18 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურის შეცვლასთან დაკავშირებით მათემატიკის პროგრამებში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით IV-X კლასების მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების შესახებ არსებულ მეთოდიკურ რეკომენდაციებში სათანადო კორექტივების შეტანა, გადამუშავება და გამოცემა. | ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სკოლებისა და სახელმძღვანელოების სამმართველოები | 1987 წ. |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 19 | მათემატიკაში საშინაო დავალების დოზირების მდგომარეობის შესწავლა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (შერჩევით), შედეგების ანალიზი, სათანადო ცნობისა და მეთოდური რეკომენდაციის მომზადება-გამოცემა, სკოლებამდე დაყვანა | სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან და რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად | 1988 წ. |
| 20 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სასწავლო კაბინეტების მოწყობის, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა და სხვა თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვის, მოვლისა და სწავლებაში გამოყენების მდგომარეობის შესწავლა. შედეგების ანალიზი. სათანადო მეთოდიკური რეკომენდაციების მომზადება და სკოლებამდე დაყვანა | განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი | 1988 წ. |
| 21 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VI-X კლასებში ა. პოგორელოვის გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების მდგომარეობის შესწავლა | სკოლების სამმართველო ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან და რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად | 1989 წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 22 | სასკოლო რეფორმიდან გამომდინარე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურის ცვლილების შესაბამისად, ახალი პროგრამების შემოღებასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა ცოდნის დონის ანალიზისათვის რესპუბლიკური საკონტროლო წერების ჩატარება რამდენიმე ქალაქის (რაიონის) V-VII კლასებში | სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი | 1989 წ. |
| 23 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესწავლა და 1991—1995 წლებში მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის შედგენა. | სკოლების სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან და რესპუბლიკურ სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად | 1990 წ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

## ქ. თბილისში საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო სწავლების ფონდის ათვისებისათვის. აღნიშნული დანიშნულებით ყველა სკოლასთან შექმნილია კომისიები, რომელთა გადაწყვეტილების საფუძველზე სკოლები მატერიალურ დახმარებას უწევენ ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს. სწავლების ფონდი ათვისებული აქვთ ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

დედაქალაქის ყველა განათლების განყოფილება აღნიშნულ თანხებს ანაწილებს მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის მიხედვით და არა ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით. ზოგიერთი სკოლა ამ დანიშნულების თანხებს არა თუ არ საჭიროებს, არამედ ვერც ითვისებს. ამდენად, საყოველთაო სწავლების ფონდი ნაშთების ჩათვლით აუთვისებელი დარჩა 66,2 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის ვერ აითვისეს 40,7 ათასი მანეთი გლდანის, 14,3 ათასი მანეთი საბურთალოს, 10,4 ათასი მანეთი კიროვის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა (განათლების განყოფილებათა გამგეები დ. კიკნაველიძე, ლ. მნათობიშვილი, კ. გაგნიძე). აუთვისებლობა გამოწვეულია განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ამ საქმისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით.

არის შემთხვევები, როცა სკოლები ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და სხვა ნივთებს მხოლოდ გადარიცხვის წესით იძენენ, გამოყოფილ თანხებს არადანიშნულებით ხარჯავენ, დახმარების გაცემისათვის მოსწავლეთა მშობლებისაგან ზედმეტ ცნობებს ითხოვენ, არც თუ იშვიათად დახმარების მიღებაზე ხელს მოსწავლეები აწერენ. ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ნ. სოსელია) სკოლების შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებების გარეშე 1984 წელს 4224 მანეთი, ხოლო 1985 წელს 7000 მანეთი დახარჯა ზაფხულში მოწყობილ ეზოს ბანაკების ბავშვთა კვებისათვის, 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ 96-ე საშუალო სკოლის სადღესასწაულო სახლში დარბაზის დაქირავებისა და ყვავილების შეძენისათვის 346 მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთი გადაირიცხა, ხოლო ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების მიერ 26-ე საშუალო სკოლაზე გაცემული 255 მანეთი შრომითი სემესტრის ლონისძიებებისათვის დაიხარჯა.

საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის საქმეში მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ განათლების სამინისტროს შესაბამის სამმართველოებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოსა და განათლების რაიონულ განყოფილებებს მეტი ყურადღება მიექციათ ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმისათვის.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. თბილისის სახალხო განათლების ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა მტკიცედ იხელმძღვანელონ საყოველთაო სწავლების ფონდის მოქმედი დებულებით.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა კომისიების საშუალებით სისტემატურად შეისწავლონ ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეთა მდგომარეობა და წლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე განათლების განყოფილებებს წარუდგინონ განაცხადი მათთვის მატერიალური დახმარებისათვის საჭირო თანხების გამოყოფის შესახებ.

2. 1. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთები სავაჭრო ორგანიზაციებიდან შეიძინონ როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე, უზრუნველყონ საბუღალტრო აღრიცხვის პირველადი საბუთების წესრიგში მოყვანა და უწყისებზე ხელი მხოლოდ მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს მოაწერინონ.

3. განათლების განყოფილებებმა საყოველთაო სწავლების ფონდის თანხების განაწილება მოახდინონ ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

3. 1. არ დაუშვან აღნიშნული თანხების არადანიშნულებით ხარჯვა. მიიღონ ზომები გამოყოფილი თანხების დროულად ათვისებისათვის.

4. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

4. 1. ეს გადაწყვეტილება განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე. გაატაროს ზომები სამმართველოს, განათლების განყოფილებათა და სკოლების იმ მუშაკთა მიმართ, რომლებმაც დაუშვეს დარღვევები და სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ საყოველთაო სწავლების ფონდით გამოყოფილი თანხების დანიშნულებით ათვისების საქმეს.

4. 2. ჩატარებული ლონისძიებების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე.

5. საყოველთაო სწავლების ფონდის დებულების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის მკაცრად იქნან გაფრთხილებული ორჯონიკიძის, საბურთალოს, კიროვის, ოქტომბრისა და 26 კომისრის რაიონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები: ნ. სოს[illegible] ლ. მნათობიშვილი, კ. გაგნიძე. თ. ანდრიაძე, ა. ღამბაშიძე.

6. აღინიშნოს ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სუსტი კონტროლი და ხელმძღვანელობა საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის საქმეში.

7. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას 1987 წლის I კვარტალში.

8. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობასთან ერთად დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა განათლების განყოფილებას ზომების მისაღებად და დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

9. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საგეგმო-საფინანსო და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოებს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრის პირველი მოადგილე
ლ. ი. ბაგუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ქ. თბილისში საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის მდგომარეობის შესახებ

მიმდინარე წლის აპრილის თვეში საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა და დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილების მუშაკების მიერ შემოწმებული იქნა ქ. თბილისში საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის მდგომარეობა. შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რაიონულმა განყოფილებებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საყოველთაო სწავლების ფონდის მიზნობრივი ათვისებისათვის.

ქ. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმოკლე ოჯახების ბავშვების მატერიალური დახმარების მიზნით დაზუსტებული გეგმით 1985 წელს გამოყოფილი იყო 285,0 ათასი მანეთი. ათვისებული იქნა 270,6 ათასი მანეთი, აუთვისებელი დარჩა 14,4 ათასი მანეთი, წინა წლების ნაშთის ჩათვლით კი — 66,2 ათასი მანეთი.

საყოველთაო სწავლების ფონდი ათვისებული აქვთ ლენინის, ოქტომბრის, პირველი მაისის, ორჯონიკიძის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს. ქ. თბილისის შემოწმებულ ყველა სკოლაში გამოყოფილია შესაბამისი კომისიები, რომელთა გადაწყვეტილებებით ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეებისათვის შეძენილი იქნა სასკოლო ფორმები, ფეხსაცმელები, კვების ტალონები და სხვა. თანხები, ძირითადად, დახარჯულია მოქმედი დებულების შესაბამისად.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, კერძოდ:

1. დედაქალაქის სახალხო განათლების ყველა განყოფილება საყოველთაო სწავლების ფონდს სკოლებზე ანაწილებს მოსწავლეთა მთელი და არა ხელმოკლე ოჯახების მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინებით. ამის გამო ზარალდებიან ისეთი სკოლები, სადაც ბევრი მოსწავლე დახმარებას საჭიროებს. ასე მაგალითად, ქ. თბილისის მე-17, 27-ე და სხვა სკოლებში მშობელთა ერთი ნაწილის თხოვნა დახმარების შესახებ არ კმაყოფილდება, მაშინ როდესაც 54-ე, მე-60, 123-ე, 127-ე, 128-ე, 144-ე, 153-ე, 162-ე და სხვა სკოლები გამოყოფილ თანხებს დანიშნულებისამებრ ვერ ითვისებენ.

2. საყოველთაო სწავლების ფონდი ვერ აითვისეს გლდანის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა 40,7 ათასი მანეთის, საბურთალოს რაიონის სკოლებმა — 14,3 ათასი მანეთის, კიროვის რაიონის სკოლებმა 10,4 ათასი მანეთის ოდენობით (განათლების განყოფილებათა გამგეები დ. კიკნაველიძე, ლ. მნათობიშვილი, კ. გაგნიძე). აუთვი-

სებლობა გამოწვეულია მშობელთა, ოჯახის შრომისუნარიანი წევრების ხელფასების შესახებ ცნობების წარმოდგენის, საქონლის გადარიცხვის წესით შეძენის მოთხოვნის და განათლების განყოფილებათა მუშაკებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ამ საქმისადმი არაგულისხმიერი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო. არის შემთხვევები, როცა სკოლა მოითხოვს ცნობებს ოჯახის შემადგენლობის შესახებ, ხოლო იმ ოჯახებს, სადაც ერთ სულზე 50 მანეთზე მეტი შემოსავალი მოდის, დახმარებაზე უარს ეუბნება და ეს მაშინ, როდესაც არსებული დებულების მიხედვით დახმარების საკითხი სკოლის კომისიამ უნდა გადაწყვიტოს ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე.

3. არც თუ იშვიათად ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მიღების უწყისებზე ხელს მოსწავლეები აწერენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. უწყისებზე ხელს უნდა აწერდნენ მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, რამეთუ ხშირად მოსწავლეები დახმარებას თაკილობენ.

44. Шелия Екатерания Константиновна — ученица X класса средней школы села Орджоникидзе Цаленджихского района

45. Арсенидзе Заза Романович — ученик VII класса восьмилетней школы села Сочхети Ткибульского района

46. Асланишвили Дали Лаврентьевна — ученица VII класса средней школы села Машавера Дманисского района

47. Алогардашвили Инга — ученица VIII класса средней школы села Машавера Дманисского района

48. Кристесиашвили Мариам Гиоргиевна — ученица VIII класса средней школы села Гомарети Дманисского района

49. Апрасидзе Спартак Ношреванович — ученик X класса средней школы № 1 Местийского района

50. Маргиани Лела Сogратовна — ученица VIII класса средней школы № 1 Местийского района

51. Билиходзе Альберт Амиранович — ученик VIII класса средней школы села Макванети Махарадзевского района

52. Тиканадзе Ирма Вахтанговна — ученица IX класса средней школы села Макванети Махарадзевского района

53. Нозадзе Сосо Джумберович — ученик VIII класса средней школы села Ваки Хашурского района

54. Чамашвили Зейнаб Гиоргиевна — ученица V класса восьмилетней школы села Набахтеви Хашурского района

55. Капанадзе Нино Акакиевна — ученица средней школы № 2 Хашурского района

56. Папуашвили Лена Тенгизовна — ученица средней школы № 2 Хашурского района

57. Ломидзе Этери Емриевна — ученица средней школы № 2 Хашурского района

58. Гоголь Заза Владимирович — ученик X класса средней школы села Теклати Цхакаиевского района

59. Габрава Екатерина Эдемовна — ученица IX класса средней школы № 1 Хобского района

60. Бециашвили Опина Ивановна — ученица VI класса средней школы села Гурджаани Гурджаанского района

61. Элизбарашвили Элизбар — ученик VIII класса средней школы села Мелаани Гурджаанского района

62. Шогирадзе Лаура Джумберовна — член фольклорного клуба Дома пионеров и школьников Чхороцкуйсского района

63. Капанадзе Вера Нодаровна — ученица VI класса средней школы села Солури Ванского района

64. Бичашвили Шалва Иродионович — ученик VII класса средней школы села Глола Онского района

65. Манджавидзе Шорена Муртазовна — ученица VII класса средней школы села Вахани Орджоникидзевского района

66. Вепхвадзе Иа Джимшеровна — ученица VII класса средней школы села Вахани Орджоникидзевского района

67. Чхеидзе Нино Бахвовна — ученица X класса средней школы села Ципи Орджоникидзевского района

68. Читадзе Лена Кукуриевна — член фольклорного кружка Дома пионеров и школьников Орджоникидзевского района

69. Гведашвили Марина Васильевна — ученица VIII класса средней школы села Дзвели Анага Сигнахского района

70. Лекишвили Иосиф Корнелиевич — ученик средней школы села Бодбе Сигнахского района

71. Лашкарашвили Лела Нугзаровна — ученица средней школы № 1 села Манглиси Тетрицкаройского района

72. Кереселидзе Гия Гелаевич — ученик средней школы села Манглиси Тетрицкаройского района

73. Шелгема Софья Нугзаровна — ученица средней школы № 1 села Манглиси Тетрицкаройского района

74. Меликишвили Леила Николаевна — ученица средней школы села Орбети Тетрицкаройского района

75. Чугуашвили Русудан Шалвовна — ученица VII класса средней школы села Мухрани Мцхетского района

76. Монаселидзе Медея — ученица VII класса средней школы № 8 г. Тбилиси

77. Одишария Натия Шамильевна — ученица VI класса средней школы № 6 г. Тбилиси

78. Гигаури Мадона Автандиловна — ученица VI класса средней школыи № 8 г. Тбилиси

79. Гочиашвили Малхаз Джемалович — ученик VI класса средней школы № 8 г. Тбилиси

80. Джамбурия Екатерина Шотаевна — ученица VIII класса средней школы № 2 Самтредского района

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიების 1986 წლის 29 აპრილის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ

განიხილეს რა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობა „ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ“, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიებმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ინფორმაცია „ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. აღინიშნოს, რომ ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი ჩატარდა დამაკმაყოფილებელ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

3. მოწონებულ იქნეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარზე პირველად გამოყენებული სექციური მუშაობის პრაქტიკა და დაინერგოს იგი შემდგომ მუშაობაში.

4. აღინიშნოს ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ფოთის, ტყიბულის, ადიგენის, ამბროლაურის, ახალციხის, ბორჯომის, ბოლნისის, გურჯაანის, მაიაკოვსკის, მახარაძის. მცხეთის, სიღნაღის, საგარეჯოს, თელავის, საჩხერის, ქარელის, ქობულეთის, ყვარლის, შუახევის, ჩხოროწყუს, ცაგერის, წულუკიძის, წყალტუბოსა და წალენჯიხის რაიონების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლების ბუნების ნორჩ დამცველთა წრეების ნაყოფიერი მუშაობა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარში აქტიური მონაწილეობისათვის:

ა) საქართველოს სსრ ბუნების დაცვის პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდეს 22 მოსწავლე და 4 მასწავლებელი;

ბ) საქართველოს სსრ სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტის სიგელით დაჯილდოვდეს 25 მოსწავლე;

გ) ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით დაჯილდოვდეს 30 მოსწავლე, 6 მასწავლებელი და 15 საგუშაგო.

5. მიეთითოს აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, გორის, ონის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, ტყიბულის, მარნეულის, ორჯონიკიძის, ყაზბეგის, ხაშურის, წალკის ქ. თბილისის 26 კომისრის, საბურთალოს, კალინინის რაიონების განათლების განყოფილებებს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე, რაც იმაში გამოიხატა, რომ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების საშუალო სკოლებმა და პიონერთა სახლებმა არ მიიღეს მონაწილეობა ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარში.

6. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) განიხილონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება „ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ“ და სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით გააცნონ იგი ბიოლოგიის მასწავლებლებს მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე;

ბ) რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიოლოგიის მასწავლებლებმა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებების, სასკოლო სატყეოების, ცისფერი და მწვანე საგუშაგოების, ნორჩ ფენოლოგთა სექციების და ბუნების ნორჩ დამცველთა წრეების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლების და ბუნების დაცვის საკითხებს, ხელი შეუწყონ ამ მიმართებით საკვლევაძიებო დამოუკიდებელი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; ფართოდ ჩააბან მოსწავლე ახალგაზრდობა ბუნებრივი ძეგლების გამოვლენის, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) წაახალისონ კლასგარეშე მუშაობაში მოწინავე მასწავლებლები, შეისწავლონ და განაზოგადონ მათი გამოცდილება.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა) და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. ვასაძე

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ჭალაგანიძე

საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს უფროსი რ. ჩარგეიშვილი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ცნობა

## ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ სატყეო სამინისტროსა და საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიები აღნიშნავენ, რომ ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, ჩატარდა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე. შეკრებამ წარმოაჩინა ბუნების შესწავლის, ბუნებრივი რესურსების გონივრულად გამოყენების, გარემოს დაცვის საქმით დაინტერესებული მოსწავლეები და სკოლებთან, სკოლა-ინტერნატებთან, სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებული ცისფერი, მწვანე საგუშაგოების, სასკოლო სატყეოებისა და ნორჩ ფენოლოგთა სექციების მიერ ჩატარებული მრავალმხრივი საქმიანობა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარში წარმოდგენილი ნაშრომები, საკვლევაძიებო ხასიათის მოხსენებები, ბუნებრივ ძეგლთა ფოტოსურათები, დიაგრამები, მხატვრულ-დეკორატიული ნახატები და პანოები, მრავალფეროვანი საგამოფენო მასალა ნათლად მეტყველებენ მოსწავლეთა ნაყოფიერ და შემოქმედებით მუშაობაზე

შეკრებაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მოსწავლის 257 ნაშრომი, რომელთაგან 100 საუკეთესო ნაშრომის ავტორი გამოძახებული იქნა სექციურ სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრება-სემინარზე საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს: ხელვაჩაურის, თერჯოლის, ქობულეთის, ახალციხის, სიღნაღის, ამბროლაურის, წულუკიძის, ვანის, ცაგერის, წალენჯიხის რაიონების, თბილისის პირველი მაისის, ოქტომბრის, ლენინის, გლდანისა და კიროვის რაიონების სკოლების მოსწავლეებმა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრებაზე პირველად ჩატარდა სემინარი წრის ხელმძღვანელთათვის და პედაგოგებისათვის. სემინარზე მოისმინეს მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლის

მასწავლებლის შ. ამირანაშვილის, თბილისის 153-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის ე. წითურისა და თბილისის 86-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის ქ. ხაუსტოვას მოხსენებები. მოხსენებები ეხებოდა სკოლებში ცისფერი საგუშაგოსა და ბუნების დაცვის წრის მუშაობის, მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლების საკითხებს, სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების თანამშრომლები და მოწვეული მეცნიერები.

შეკრება-სემინარის მუშაობის დღეებში გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ბუნებრივი მასალებისაგან დამზადებული მხატვრულ-დეკორატიული ნაკეთობანი, პანოები, პეიზაჟები. საუკეთესოთა შორის აღინიშნა თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის მ. ოჩიგავას, 130-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ც. ბეგალიშვილის, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლის თ. აბესაძის, თბილისის 173-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების თ. ყურაშვილისა და ე. ყურაშვილის, წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის საშუალო სკოლის მოსწავლის შ. ჩიჯავაძის, თერჯოლის რაიონის სოფელ ნახშირღელის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლის დ. ბრეგაძის, თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის ი. ჩხარტიშვილისა და სხვათა ნამუშევრები.

შეკრება-სემინარი მიმდინარეობდა ორ დღეს (24-25 მარტს). პირველ დღეს მუშაობდნენ მწვანე საგუშაგოსა და სასკოლო სატყეოს სექციები, სადაც მოსმენილ იქნა 30 მოხსენება. სექციური სხდომები შეაჯამეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ მუშაკმა ლიანა გოგიჩაიშვილმა და სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში დოცენტმა ელდარ ლობჟანიძემ. მათ აღნიშნეს მოსწავლეთა მიერ ჩატარებული საინტერესო საქმიანობა, რომელსაც ეწევიან როგორც მწვანე საგუშაგოს, ასევე სასკოლო სატყეოს წევრები. აღინიშნა ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის სასკოლო სატყეოს, ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის სასკოლო სატყეოს, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს, ვანის რაიონის პიონერთა სახლის, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის, თელავის რაიონის მე-4 საშუალო სკოლების მწვანე საგუშაგოების წევრთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები. სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ დაწესებული აკადემიკოს ვ. გულისაშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრიზი გადაეცა ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლის სასკოლ[illegible]ოს (თემა „აღვადგინოთ საფარის ტყე“). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აკადემიკოს ნ. კეცხოველის პრიზის მფლობელნი გახდნენ თელავის რაიონის მე-4 საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგოს წევრები (თემა „ამბროზია“).

შეკრება-სემინარის მეორე დღეს (25 მარტი) ჩატარდა ნორჩ ფენოლოგთა და ცისფერი საგუშაგოს სექციური სხდომები, სადაც მოსმენილ იქნა 23 მოხსენება. სექციური სხდომები შეაჯამეს საქართველოს თევზდაცვის სამმართველოს უფროსმა ინსპექტორმა ალექსანდრე ლანგენმა და ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგემ რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა თამარ ჯიქიძემ. მათ აღნიშნეს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის, ქობულეთის რაიონის სოფელ სკურის, ხელვაჩაურის რაიონის, ადიგენის რაიონის სოფელ არლის, მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლების მოსწავლეთა საქმიანობა: მათი როლი ბრაკონიერებთან ბრძოლის საქმეში. თევზის მარაგის დაცვაში, ბუნებაზე დაკვირვების, ბუნების საიდუმლოებაში წვდომის უნარი.

აღსანიშნავია შეკრების ჩატარების მაღალი ორგანიზაციული მხარე. სანიმუშოდ იყო მოგვარებული შეკრების მონაწილეთა კვების, ღამისთევის, დასვენების და კულტმომსახურების საკითხები. მოსწავლეთათვის კინოს სახლში მოეწყო ქართული მხატვრული ფილმის „იმედის მწვანე კუნძულის“ დემონსტრირება.

ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მუშაობა აისახა რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე („სახალხო განათლება“, „ნორჩი ლენინელი“, „საქართველოს ბუნება“), საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემაში.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მაღალი იდეურ-აღმზრდელობითი დონე განაპირობა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ზოოლოგიის, სამთო-მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის და ადგილებზე გაწეულმა ერთობლივმა მუშაობამ.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის მზადებისა და ჩატარების პერიოდში შეიმჩნეოდა რიგი ნაკლოვანებები. შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის. ქ. ქუთაისის, ონის, გორის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, ყაზბეგის, ტყიბულის, მარნეულის. წალკის, ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონიკიძის, ხაშურის; თბილისის 26 კომისრის, საქარხნო, საბურთა-ლოს, კალინინის რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს, ფორმალური ხასიათი ჰქონდა შეკრებაში, ხულოს, ყაზბეგის, გეგეჭკორის, ლენინგორისა და სხვა რაიონების მონაწილეობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკის რაიონების ბევრ სკოლაში არ არის შექმნილი სასკოლო სატყეოები, ცისფერი და მწვანე საგუშაგოები, ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებები, რაც განპირობებულია აღნიშნული საკითხისადმი რიგი განათლების განყოფილებისა და სკოლის ხელმძღვანელების არასათანადო ყურადღებით.

აღმზრდელობითი მუშაობის
სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПОСТАНОВЛЕНИЕ БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, ПРЕЗИДИУМА СОВПРОФА ГРУЗИИ, КОЛЛЕГИЙ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГССР, МИНИСТЕРСТВА ВЫСЩЕГО И СРЕДНЕГО СПЕЦИАЛЬНОГО ОБРАЗОВАНИЯ ГССР И ПРЕЗИДИУМА АКАДЕМИИ НАУК ГССР

## «О работе летнего оздоровительного профильного лагеря-школы ученических научных обществ республики «Малая Академия»

**29 апреля 1986 года**

Бюро ЦК ЛКСМ Грузии, Президиум Совпрофа Грузии, коллегии Министерства просвещения ГССР, Министерства высшего и среднего специального образования ГССР и Президиум АН ГССР постановляют:

1. Принять предложение Отдела научной молодёжи и Совета молодых учёных и специалистов ЦК ЛКСМ Грузии, Управления воспитательной работы Министерства просвещения ГССР о создании летнего оздоровительного профильного лагеря-школы ученических научных обществ республики «Малая Академия» (июль 1986 года) на базе Терджольского пионерского лагеря «Саповнела».

2. График заезда и количество участников лагеря утвердить (приложение 1).

3. Общее руководство и контроль за работой школы-лагеря возложить на штаб по проведению «Малой Академии» согласно прилагаемого состава (приложение 2).

4. Состав штаба утвердить.

5. Обязать Терджольский райком ЛКСМ Грузии, Терджольский районный отдел народного образования принять все необходимые меры для плодотворного и эффективного функционирования школы-лагеря.

6. Просить Терджольский райком КП Грузии оказать руководству школы-лагеря всестороннюю помощь в проведении учёбы на высоком организационном уровне.

7. Обязать обкомы, горкомы, райкомы ЛКСМ Грузии, Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, областные, городские, ройонные отделы народного образования обес-

печить подбор учащихся и их организавонную явку в лагерь.

8. Командировать для работы в лагере научных сотрудников и работников ВУЗов и НИИ, входящих в систему Министерства высшего и среднего специального образования ГССР и АН ГССР.

9. Список педагогического коллектива лагеря-школы утвердить (приложение 3).

10. Принять к сведению, что по рекомендации АН ГССР и Совета молодых ученых и специалистов ЦК ЛКСМ Грузии перед школьниками выступят ведущие учёные, Лауреаты премии Ленинского комсомола и комсомола Грузии (приложение 4).

11. Разрешить Управлению делами ЦК ЛКСМ Грузии расходование привлеченных средств на проведение школы-лагеря ученических научных обществ республики «Малая Академия» согласно смете расходов.

12. Смету расходов утвердить.

13. Расходы, связанные с проездом учащихся, несут органы народного образования областных, городских, районных Советов народных депутатов.

14. Поручить редакциям газет «Ахалгазрда комунисти», «Молодёжь Грузии», молодёжных передач телевидения и радио всесторонне освещать деятельность «Малой Академии».

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии Д. Маргвелидзе**

**Первый заместитель министра просвещения ГССР Л. Гагуа**

**Президент Академии наук ГССР Е. Харадзе**

**Секретарь Совета профессиональных союзов ГССР З. Квачадзе**

**Министр высшего и среднего специального образования ГССР М. Чхиквишвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение 1

# ГРАФИК

## заезда и количества участников в школе-лагере «Малая Академия», проводимом от 5 июля по 29 июля на базе пионерского лагеря «Саповнела» Терджольского района

Заезд участников лагеря произвести в пионерский лагерь «Саповнела» Терджольского района 5 июля в количестве 290 учащихся средних школ республики (9—10 классы).

Приложение 2

## Состав штаба

1. Качарава Д. Г. — младший научный сотрудник Института физиологии АН ГССР, научный руководитель школы-лагеря
2. Барбакадзе Л. Б. — директор пионерского лагеря «Саповнела» Терджольского района
3. Соколов З. Н. — заведующий Отделом научной молодежи ЦК ЛКСМ Грузии
4. Алавердашвили А. И. — заведующая Отделом учащейся молодёжи и пионеров ЦК ЛКСМ Грузии
5. Зарнадзе Г. Г. — первый секретарь Терджольского РК ЛКСМ Грузии
6. Блиадзе И. Д. — лаборант Кафедры применения математических методов ТГУ
7. Робакидзе Б. К. — методист Дома пионеров и школьников Терджольского района

Приложение 3

## Список педагогического коллектива

1. Амирханашвили И. Ш. — аспирант Института литературы АН ГССР
2. Махарашвили И. И. — младший научный сотрудник Института литературы АН ГССР

3. Долбая А. Ш. — лаборант Кафедры физики твердого тела ТГУ

4. Церетели П. А. — лаборант Кафедры математического обеспечения ЭВМ ТГУ

5. Ломинадзе И. Г. — инженер Кафедры гидрологии и инженерной геологии ГПИ

6. Бочоришвили Р. Д. — инженер-программист Института прикладной математики ТГУ

7. Блиадзе И. Д. — лаборант Кафедры применения математических методов ТГУ

8. Бидзинашвили П. Д. — инженер Научно-технического отдела ТГУ

9. Чиковани П. К. — научний сотрудник Института истории, археологии и этнографии АН ГССР

10. Размадзе С. А. — кандидат физико-математических наук, заведующий лабораторией Научно-исследовательского Института гигиены труда и профессиональных заболеваний Министерства здравоохранения ГССР

11. Буркадзе Г. А. — аспирант Кафедры патологической анатомии Тбилисского государственного медицинского института

12. Кезерашвили Ш. Д. — старший лаборант Института физики АН ГССР

13. Гогава Н. И. — техник-геолог методической экспедиции Геологического управления

14. Багратишвили Д. Г. — кандидат биологических наук, доцент СХИ

15. Шубитидзе М. И. — инженер п/о «Грузнефть»

**Приложение 4**

## Список приглашенных лекторов

1. Поцхишвили А. М. — профессор ТГУ, доктор филологических наук

2. Гордезиани — заместитель директора Института прикладной математики им. акад. И. Н. Векуа ТГУ, доктор физико-математических наук

3. Двалишвили Н. Д. — ректор Кутайсского политехнического института им. Н. Мусхелишвили

4. Цинцадзе Н. Л. — профессор, заместитель директора Института физики АН ГССР

5. Квачантирадзе Т. Б. — доцент ТГУ, кандидат филологических наук

6. Гордезиани Р. В. — профессор ТГУ, доктор филологических наук, Лауреат премии Ленинского комсомола

7. Чиладзе Т. Т. — секретарь Правления Союза писателей ГССР

8. Туманишвили М. И. — заведующий Кафедрой актёрского искусства Тбилисского государственного театрального института

9. Бараташвили М. Г. — редактор журнала «Сакартвелос кали»

10. Лордкипанидзе М. Д. — заведующий Кафедрой истории Грузии ТГУ, доктор исторических наук, член-корр. АН ГССР

11. Цверикмазашвили З. С. — доцент ТГУ, кандидат физико-математических наук, Лауреат премии комсомола Грузии

12. Чкуасели И. Н. — старший научный сотрудник Института горной механики, кандидат технических наук, Лауреат премии комсомола Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი კოლეგიის 1986 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა სახლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში ბავშვთა და მოზარდთა კვების ორგანიზაციის შესახებ

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთობლივი კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაბამისი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მიერ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ბავშვთა დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ახალი ობიექტების მშენებლობის, არსებულის გაფართოება-რეკონსტრუქციის, რიგი ობიექტების ახალი ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარებით, ავეჯით, სამზარეულო ინვენტარითა და ჭურჭლით აღჭურვის საქმეში. ერთგვარად გაუმჯობესდა პროდუქტებით მომარაგება, დაინერგა კვების სააბონემენტო სისტემა და მომსახურების სხვა პროგრესული ფორმები, ამაღლდა მომსახურე პერსონალის სანიტარიული კულტურა. სასწავლო დაწესებულებებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საშეფო ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საკითხს, განათლების ადგილობრივი ორგანოები მეტ მომთხოვნელობას იჩენენ პროდუქტების მომწოდებელთა მიმართ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამსახურის ადგილობრივმა ორგანოებმა გააძლიერეს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა ბავშვთა დაწესებულებების კვების ბლოკებზე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით, ბავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს მომდევნო სასწავლო წლისათვის ეძლევათ სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გეგმა-დავალებები შესრულების კონკრეტული ვადების ჩვენებით. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში უფრო სრულად გამოიყენება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დებულებით გათვალისწინებული სანქციები, მწვავედ და პრინციპულად ისმება საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე და სხვ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩატარებული შემოწმებებისა და ადგილებიდან წარმოდგენილი ინფორმაციებით დადგინდა, რომ ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის საქმეში ჯერ კიდევ აღინიშნება მთელი რიგი დარღვევები და ნაკლოვანებები, რაც ძირითადად გამოწვეულია ამ საქმეზე პასუხისმგებელი მუშაკების მიერ თავიანთი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, არსებული მდგომარეობისადმი შემრიგებლური პოზიციით, გადასაჭრელი პრობლემებისადმი უგერგილო მიდგომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1984—1985 წლებში რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა ბავშვთა დაწესებულებებში კვებითი მოწამვლისა და მწვავე ნაწლავური ინფექციებით ჯგუფური დაავადებების შემთხვევებს, რომლებიც დაკავშირებული იყო კერძების დამზადების ტექნოლოგიის დაუცველობასთან, პროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის პირობების, ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო მოთხოვნების, პირადი ჰიგიენის წესების უხეშ დარღვევებთან.

სწორედ ასეთმა დარღვევებმა გამოიწვიეს კასპის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ჯგუფური მოშხამვის ფაქტი. სანიტარიულ-ჰიგიენური წესების უხეში დარღვევები გამოვლინდა აჭარის ასსრ, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ტყვარჩელის, მარნეულის, გაგრის, ადიგენის, ცხაკაიას, ახმეტის, ლაგოდეხის, გუდაუთის, მარნეულის, ახალქალაქის, საჩხერისა და სხვა რაიონების სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში. ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ახალქალაქის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, სამტრედიის, აბაშის, მცხეთისა და სხვა რაიონების პროფტექნიკურ სასწავლებლებში ზემდგომი ორგანოების არაერთგზის მითითების მიუხედავად, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ნელი ტემპით ვითარდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბაზო სასადილოების, სასკოლო სამზარეულოების ქსელი, არასაკმარისად ინერგება მოსწავლეთა მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები. რესპუბლიკის 2665 რვაწლიანი და საშუალო სკოლიდან კვების ბლოკი მოწყობილი აქვს 2190 სკოლას 118512 დასაჯდომი ადგილით. კვების ბლოკის გარეშე დარჩენილია 475 სკოლა, სადაც სწავლობს 37634 მოსწავლე, ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 4,5%. კვების ბლოკები არა აქვთ ქუთაისის 145-ე, 152-ე, ახალქალაქის რაიონის 82-ე, დუშეთის რაიონის სოფელ მლაშესა და ზოგიერთ სხვა პროფტექნიკურ სასწავლებელს.

რესპუბლიკის სკოლებში ჯერ კიდევ მოუგვარებელია მოსწავლეთა ცხელი, წვნიანი და დიეტური კერძებით კვების საკითხი. სასადილოების უქონლობის გამო ზოგიერთ სკოლაში ცხელი კერძების ნაცვლად მოსწავლეები მხოლოდ მშრალ საუზმესა და საკონდიტრო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმს ღებულობენ. ცხელი კერძებით უზრუნველყოფის საქმეში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქ. ქუთაისში, ქ. გორში, ყვარლის, თეთრი წყაროს, მარნეულის, გარდაბნის, ახმეტის, თიანეთის, ყაზბეგის, ვანისა და სხვა რაიონებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელები ეფექტურ ზომებს არ ღებულობენ იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც აღნიშნულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ვაჭრობის სამინისტროების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და ცეკავშირის გამგეობის 1985 წლის 18 სექტემბრის ერთობლივ ბრძანებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის დაწესებულებების მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

როგორც შემოწმებით დადასტურდა, მთელ რიგი სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების სასადილოების და ბუფეტების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს. კვების ბლოკები მოთავსებულია პატარა, შეუფერებელ შენობებში, არც თუ იშვიათად კერძები ერთ ოთახში მზადდება და მუშავდება. იქვე ინახება პროდუქტები, ირეცხება ჭურჭელი, არ არის გამდინარე ცივი და ცხელი წყალი. ასე მაგალითად, მეტად შეუფერებელ, მცირე ფართობის სათავსოებში არიან განლაგებული აჭარის ასსრ, ქ. გორის, ქ. სოხუმის, ადიგენის, გალის, ახალქალაქის, ვანის, ცხაკაიას, მარნეულის, დუშეთის, ზესტაფონის, გარდაბნის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, მახარაძისა და სხვა რაიონების სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკები, აგრეთვე თბილისის მე-18. 35-ე, მე-5, მე-6, 71-ე, 95-ე, სოხუმის 45-ე, ზესტაფონის 144-ე და სხვა პროფსასწავლებლების კვების ბლოკები.

ნელი ტემპით ვითარდება სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ის ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი საჭირო მექანიკური, სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით, სარეცხი და საზომ-საწონი მოწყობილობით, ავეჯით, ჭურჭლით. ინვენტარით, სპეცტანსაცმლით, სარეცხი საშუალებებით. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირი წლიდან წლამდე ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული დანადგარებისა და მოწყობილობების სათანადო რაოდენობით გამოყოფას. იქ კი სადაც ეს დანადგარები და მოწყობილობები მიღებულია, ხანგრძლივი დროის განმალობაში ჭიანურდება მათი დამონტაჟება. ასე მაგალითად, ვანის რაიონის სოფელ შუამთის საშუალო სკოლის შენობა ექსპლუატაციაში

შევიდა 1984 წელს. მიუხედავად ამისა, სკოლის დირექციისა და [illegible]ბის მუშაკთა წაყრუებით დაუმონტაჟებელია დანადგარ-მოწყობილობები. არ არის გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, რის გამოც ადგილობრივი სანეპიდსადგურის მიერ აკრძალულია კერძების დამზადება. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები მხოლოდ ნამცხვრით იკვებებიან. ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მე-2 საშუალო სკოლას აქვს თანამედროვე ტიპის სასადილო, უზრუნველყოფილია ყველა სახის დანადგარ-მოწყობილობით, მაგრამ არ არის დამონტაჟებული დახლმაცივარი და მადუღარა, არ მუშაობს კარადა-მაცივარი, ხორცის დასამუშავებელი მანქანა, მოუგვარებელია ცხელი წყლის მიღების საკითხი. არ მზადდება ჩაი, კაკაო და კისელი. სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლა მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში, სასადილოს ფართობი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს, სამზარეულო სამრეცხაოსაგან არ არის გამოყოფილი, არ გააჩნია პროდუქტების საკუჭნაო: მოუგვარებელია გამდინარე ცივი და ცხელი წყლის მიღების საკითხი; სკოლის კვების ბლოკს არ გააჩნია მაცივრები და მადუღარა; დაზიანებულია ელექტროქურა, არ მზადდება ჩაი, კაკაო და კისელი, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების 214 მოსწავლიდან ცხელი კერძებით მხოლოდ 100 იკვებება, ხოლო საერთოდ სკოლაში ცხელი კერძებით კვება 17%-ს შეადგენს. სოფელ ახალსოფლის 1-ლ საშუალო სკოლას აქვს ტიპური სასადილო, მისი ფართობი აკმაყოფილებს სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. აქ შეიძლება კარგად მოეწყოს მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვება, მაგრამ ეს საქმე უყურადღებოდ არის მიტოვებული. დიდი ხანია კვების ბლოკში მიღებულია პურის მექანიკური საჭრელი, ელექტრომადუღარა, ჭურჭლის გასარეცხი ჩანები და კარადა-მაცივარი. მაგრამ ისინი საწყობებში ინახება და დაუმონტაჟებელია. სასადილოში არ არის მოწყობილი ცივი და ცხელი გამდინარე წყალი; 495 მოსწავლიდან ცხელი კერძებით იკვებება მხოლოდ 120. გურჯაანიის რაიონის სოფელ არაშენდის საშუალო სკოლა ტიპურ შენობაშია მოთავსებული, სკოლის დირექციის მიერ საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 5 წლის წინ მიღებული მადუღარა, ელექტროქურა და ჭურჭლის სარეცხი ჩანები დღემდე დაუმონტაჟებელია. ანალოგიური მდგომარეობაა სოფლების შაშიანისა და კარდანახის საშუალო სკოლებში, სადაც ერთ პატარა ნიჟარაში ყველა სახის პროდუქტი ირეცხება. თეთრი წყაროს რაიონის 1-ლ, მე-2 და სოფელ კოდის საშუალო სკოლებში არ არის გადაწყვეტილი კვების ბლოკების საჭირო დანადგარ-მოწყობილობით აღჭურვის საქმე.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებებისა და პროფტექნიკური

სასწავლებლების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე. სავაჭრო ორგანიზაციები, აგროსამრეწველო გაერთიანებები ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს შეფერხებით აწვდიან ხორცს, თევზს, კვერცხს, ბოსტნეულს, ხილს, ზეთს, ლობიოს, რძეს და რძის პროდუქტებს, წვენებს და სხვა. რაც იწვევს კვების რაციონის ბალანსირებული ნორმების დარღვევას, კვების თანხების აუთვისებლობას, დამზადებული კერძების დაბალკალორიულობას და ერთფეროვნებას. ასე მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლ საშუალო სკოლას 1985 წლის სექტემბერში ხორცი მიღებული აქვს სამჯერ, ნოემბერში ერთხელ, ხოლო ოქტომბერში საერთოდ არ მიუღია. სოფელ შილდის მე-2 საშუალო სკოლაში სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით მხოლოდ სამჯერ მიიღეს ხორცი. კვების პროდუქტებით შეფერხებებით მარაგდებიან ქ. თბილისის, ქ. მარნეულის, ხულოს, შუახევის, ქედის. ადიგენის, ზესტაფონის, საჩხერის, მაიაკოვსკის, მცხეთის, წითელწყაროს. ლანჩხუთის, ამბროლაურის, გურჯაანის, ორჯონიკიძის, აბაშის. ახმეტის, გარდაბნისა და სხვა რაიონებში განლაგებული ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებები.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებას სასწავლო დაწესებულებებისათვის ავტოტრანსპორტის გამოყოფაზე. სატრანსპორტო ორგანიზაციის ხელმძღვანელთა უგერგილო მუშაობა, მძღოლებისადმი მომთხოვნელობის შესუსტება და მძღოლთა შორის დაბალი შრომითი დისციპლინა განაპირობებს მანქანების დაგვიანებით გამოცხადებას პროდუქტების მისაღებად, რაც თავის მხრივ იწვევს საბავშვო დაწესებულებებში კვების რეჟიმის დარღვევას. ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი აქვს ქ. თბილისის, გარდაბნის, თელავის, ადიგენის, ახმეტის, ახალქალაქის, წითელწყაროს, მესტიისა და სხვა რაიონებში, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის ასსრ-ში, ქ. ტყიბულის ზონაში, მარნეულის, საჩხერის, ყაზბეგის, თიანეთისა და სხვა რაიონებში სპეცტრანსპორტის სიმცირის გამო პროდუქტების შეზიდვა წარმოებს დაქირავებული ან შემთხვევითი სანიტარიული თვალსაზრისით შეუფერებელი ტრანსპორტით.

ნელა ვითარდება საბაზო სასადილოებისა და კვების კომბინატების ქსელი. ვაჭრობის სამინისტროს მომსახურებაში მყოფი 31 ქალაქიდან და რაიონიდან, სადაც 10 კვების კომბინატი და 17 საბაზო სასადილოა მოწყობილი, მე-11 ხუთწლედში არც ერთი საბაზო სასადილო ან კომბინატი არ შესულა ექსპლუატაციაში, ხოლო ცეკავშირის ხაზით მომსახურებაში მყოფი 60 ქალაქიდან და რაიონიდან, სადაც 13 კვების კომბინატი და 35 საბაზო სასადილოა მოწყობილი, მე-11

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედში გაიხსნა მხოლოდ 5 კვების კომბინატი და 7 საბაზო სასადილო.

ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კომბინატები და საბაზო სასადილოები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებენ საბავშვო დაწესებულებაში მოთხოვნილებებს. ასე მაგალითად, თელავის რაიონის საბაზო სასადილო, რომელიც 1985 წელს გაიხსნა, ყოველდღიურად ამზადებს 350 ც. ხაჭაპურს, 100 ც. კრემიან მილაკს, 600 ც. შუს, 500 ც. ქადასა და 50 ულუფა კერძს, მითუმეტეს, რომ კრემიანი მილაკი და შუ სასკოლო ბლოკებისათვის ასორტიმენტით არ არის გათვალისწინებული, ხოლო ხაჭაპური და ქადა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სასწავლო დაწესებულებების მოთხოვნილებებს. სასადილო უნდა ემსახურებოდეს 20 სკოლას, ფაქტობრივად კი ემსახურება 9 სკოლას და ისიც არასაკმარისად.

სასკოლო კომბინატებსა და საბაზო სასადილოებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ასორტიმენტით გაუთვალისწინებელი პროდუქციის დამზადებას, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საბავშვო დაწესებულებებში აკრძალული პროდუქტების შეტანას. ასე მაგალითად, ქ. გორის რვაწლიან სკოლაში 13 დასახელების კამფეტი იყიდებოდა, ხოლო თიანეთის რაიონის სოფელ ტუშურების საშუალო სკოლაში გამოყოფილი იყო 3 სახის თევზის კონსერვი. ლიმონათი, საღეჭი რეზინი და სხვა.

განათლების სამინისტროში ქალაქებიდან და რაიონებიდან მიღებული სტატისტიკური მასალებიდან ირკვევა, რომ რიგ შემთხვევაში ისინი სინამდვილეს არ შეეფერებიან, ადგილი აქვს კვების ბლოკებში მოსაწყობი დასაჯდომი ადგილებისა და მოსწავლეთა ცხელი კერძებით უზრუნველყოფის პროცენტის ხელოვნურად გაზრდას. ასე მაგალითად, ქ. გორის განათლების განყოფილებამ წარმოადგინა ცნობა, რომ მოწყობილი აქვს 1119 დასაჯდომი ადგილი, სინამდვილეში კი აღმოჩნდა 548. ასევე არ აღმოჩნდა სწორი ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლიდან წარმოდგენილი მონაცემები: 51-ე საშუალო სკოლამ წარმოადგინა 100 დასაჯდომი ადგილი, ფაქტობრივად აღმოჩნდა 50. 53-ე საშუალო სკოლაში მოწყობილია 100 დასაჯდომი ადგილი, ნაცვლად ნაჩვენები 150 დასაჯდომი ადგილისა, 126-ე საშუალო სკოლაში 120 დასაჯდომი ადგილის ნაცვლად 250 დასაჯდომი ადგილი, 151-ე საშუალო სკოლაში 80 ნაცვლად 120-ისა და სხვა.

განათლების ადგილობრივი ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგიურ და მომსახურე პერსონალთან კვების ჰიგიენური საფუძვლების პროპაგანდას; არ ჰყავთ მობილიზებული მშობელთა კომიტეტები. არ იყენებენ ყველა რეზერვს. რიგი რაიონების სახალხო დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი მოსწავლეთა კვების ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის საკოორდინაციო საბჭოები, ხოლო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც შექმნილა, მათი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს.
შესუსტებულია ჯანმრთელობის პუნქტებისა და პედიატრიული ქსელის როლი მოსწავლეთა კვების სწორად ორგანიზაციისა და კერძების კალორიულობის დაცვის საქმეში.

დაბალია ზოგიერთი რეგიონის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების მომთხოვნელობა სასწავლო დაწესებულებათა და საზკვების ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის მიმართ. მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმები სრულად არ იყენებენ მათზე მინიჭებულ ადმინისტრაციული ზემოქმედების უფლებებს.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, პროფტექგანათლების ზონალური და საქალაქო სამმართველოების უფროსებმა, პროფსასწავლებლების დირექტორებმა:

1. 1. არ დაუშვან სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებების, სკოლების, პროფსასწავლებლების ექსპლუატაციაში მიღება თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი კვების ბლოკების გარეშე, წყალმომარაგების და კანალიზაციის საკითხის გადაუჭრელად.

1. 2. მიიღონ ქმედითი ზომები საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებში სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის, მათი სათანადო რაოდენობით გამდინარე ცივი და ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად.

1. 3. დაამყარონ მკაცრი კონტროლი სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების კვების ქსელის ზრდის, მე-12 ხუთწლედში დასახული ამოცანების აუცილებელ შესრულებასა და მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვაზე.

1. 4. გააძლიერონ კონტროლი უფასო და შეღავათიანი კვების თანხების სრულ და დროულ ათვისებაზე.

1. 5. სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების დირექტორებს, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების გამგეებს დაავალონ, დასვან საკითხი ადგილობრივ მომწოდებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის წინაშე ბავშვთა მაღალხარისხოვანი და რაციონალური კვების უზრუნველყოფის შესახებ.

1. 6. კვების ბლოკებში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დამრღვევ პირთა მიმართ გაატრონ მკაცრი დისციპლინური ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 7. დადგენილ ვადებში უზრუნველყონ პედაგოგიური და ბავშვთა და მოზარდთა კვებაზე დასაქმებული პერსონალის ჰიგიენური სწავლება.

1. 8. დაავალონ საბავშვო და მოზარდთა დაწესებულებების მედიცინის მუშაკებს, რათა სისტემატური კონტროლი დააწესონ ბავშვთა დაწესებულებებში კვების ორგანიზაციაზე, პროდუქტების განწილვის და კერძების მომზადების სისწორეზე, კვების ბლოკში სანიტარიული ნორმებისა და წესების დაცვაზე, მონაწილეობა მიიღონ წუნდების კომისიების მუშაობაში და კერძების უხარისხობის შემთხვევაში აკრძალონ მათი რეალიზაცია.

1. 9. აღინიშნოს მარნეულის, ყვარლის, თიანეთის, ყაზბეგის, ვანის, ახმეტის, თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა (ამხ. ამხ. ბ. კალაევი. ზ. იოსებაშვილი, ვ. ობგაიძე, ა. ხუციშვილი, ა. ენუქიძე, ზ. წითელაური, თ. მელაძე და ზ. ზაქარეიშვილი) არასაკმარისი მუშაობა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში.

2. აფხაზეთის ასსრ. აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებმა, ქ. თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეებმა, რაიონების მთავარმა ექიმებმა:

2. 1. დაავალონ მთავარ (წამყვან) პედიატრებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო და მოზარდთა დაწესებულებებში კვების სწორ ორგანიზაციას, მათში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის მდგომარეობას, პერიოდულად მიიღონ მონაწილეობა დამზადებული კერძების წუნდების კომისიის მუშაობაში.

2. 2. შესაბამისი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით გაშალონ სანიტარიულ-განათლებითი მუშაობა ბავშვთა დაწესებულებებში, უზრუნველყონ ისინი სათანადო თვალსაჩინოებით.

3. აფხაზეთის ასსრ აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მთავარმა სახელმწიფო სანიტარიულმა ექიმებმა:

3. 1. აამაღლონ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებზე, სრულად გამოიყენონ მინიჭებული ადმინისტრაციული ზემოქმედების უფლებები.

3. 2. ლაბორატორიული მეთოდების გამოყენებით უზრუნველყონ საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებში დამზადებული სადილების ხარისხისა და კალორიულობის დადგენა, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი მასალები გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 3. საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებში ისეთი დარღვევების გამოვლენისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეეძლოთ გამოეწვიათ კვებითი მოშხამვის ან ნაწლავური ინფექციის აღმოცენება, განიხილონ როგორც საგანგებო შემთხვევა და მასალები გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, დაავალონ ვაჭრობის ადგილობრივ ორგანოებს:

4. 1. უზრუნველყონ სასკოლო კვების კომბინატებისა და საბაზო სასადილოების ქსელის გაფართოება, არსებული საწარმოების ქმედითად გამოყენება.

4. 2. დაამყარონ მკაცრი კონტროლი საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებში სანიტარიული ნორმებისა და წესების, კერძების მომზადების, ტექნოლოგიის, შენახვის პირობების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის წესების დაცვაზე.

4. 3. უზრუნველყონ საბავშვო დაწესებულებების კომბინატების საბაზო სასადილოებისა და სასკოლო სამზარეულოების დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით. სისტემატურად იმუშაონ მათი პროფესიონალური მომზადებისა და მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის.

4. 4. უზრუნველყონ, რომ საბავშვო დაწესებულებების კვების ბლოკებს პირველ რიგში გამოეყოთ საჭირო ტექნოლოგიური და სამაცივრო დანადგარები, ინვენტარი, სარეცხი საშუალებანი, ხარისხიანი პროდუქტების დადგენილი ასორტიმენტი.

4. 5. გააქტიურონ მუშაობა სკოლებში და პროფტექნიკურ სასწავლებლებში დამზოგავი და დიეტური კვების მოსაწესრიგებლად.

4. 6. გააძლიერონ კონტროლი დატაცების, ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევების აღსაკვეთად, დამზადებული კერძების ხარისხისა და სრულფასოვნებაზე ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს:

5. 1. ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად განსაზღვროს საბავშვო დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული წვრილად დაფასოებული და დოზირებული კვების პროდუქტების წარმოების მოცულობა და შესაბამისი დავალებანი მისცეს თითოეულ საწარმოს.

5. 2. საბავშვო დაწესებულებებისათვის რძის გაცემა აწარმოოს მხოლოდ ინფექციური დაავადებებისაგან სტერილური მეურნეობები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან; არაჟანის, ხაჭოსა და რძის სხვა პროდუქტების ბავშვთა დაწესე-ბულებებზე გაცემა მოხდეს საწარმოთა ლაბორატორიების კონტრო-ლით. წონითი არაჟანი გაიცეს მხოლოდ ალუმინის დალუქული მათა-რებით და მათზე იყოს ნიშანდება თერმული დამუშავების აუცილებ-ლობის შესახებ.

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე და-ევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოად-გილეს, რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს ამხ. ი. ი. ფაღავას, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. ი. გაგუას, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ი. თ. ურუშაძეს.

საქართველოს სსრ ჯანმრთე-
ლობის დაცვის მინისტრი
გ. ლეჟავა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ნ. ვასაძე

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარე ნ. გურგენიძე

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქ. თბილისის მასწავლებელთა მე-9 საქალაქო კონფერენციის მონაწილეთა ინიციატივის შესახებ

ქ. თბილისის მასწავლებელთა მე-9 საქალაქო კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობის შემდგომი ამაღლებისა და სრულყოფის საკითხებს. კონფერენციის გადაწყვეტილების თითოეულ მშობლამდე დაყვანის მიზნით დედაქალაქის სკოლებში დაიწყო და მიმდინარეობს მშობელთა კრებები; კრებებზე მთელი სიმწვავით გამოიკვეთა და სათანადო შეფასებები მიეცა ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებულ ნეგატიურ მოვლენებს, მათ შორის: ხშირად მშობელთა ინიციატივითა და სკოლის წაყრუებით, პროტექციონიზმის, ფულის შეგროვების, ბანკეტების მოწყობისა და სხვა შემთხვევებს. მთელი პრინციპულობით იქნა განხილული მშობელთა კომიტეტების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მათი გააქტიურებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების თვალსაზრისით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სკოლისაგან ოჯახს მეტი ყურადღება ჭირდება. ამასთან, უნდა გაიზარდოს მშობელთა პირადი პასუხისმგებლობა შვილების აღზრდის საქმეში, საჭიროა მშობლები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლებას, ზრდიდნენ ბავშვებს შრომისადმი პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით, უჩვენებდნენ მათ შრომისა და საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი დამოკიდებულების პირად მაგალითს.

აღნიშნულ საკითხებზე მშობელთა კრებების ჩატარება ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას. ამ საქმეში მშობელთა სასკოლო კოლექტივების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს ქ. თბილისის მასწავლებელთა მე-9 საქალაქო კონფერენციის მონაწილეთა ინიციატივა სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებათა საპასუხოდ მეთორმეტე ხუთწლედის მშობელთა პასუხისმგებლობის ხუთწლედად გამოცხადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

— თბილისელთა მაგალითისამებრ მიმდინარე წლის მაისში ჩაატარონ მასწავლებელთა და მშობელთა საერთო კრებები დღის წესრიგით: „სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობის ამოცანებისა და მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“;

— სათანადო მუშაობა გასწიონ თბილისელთა ინიციატივის განმარტებისა და განხორციელებისათვის, უზრუნველყონ კრებების მაღალ ორგანიზაციულ და შინაარსობრივ დონეზე ჩატარება.

3. სასკოლო საერთო კრების მომხსენებლად დამტკიცდეს სკოლის დირექტორი.

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს კრებების მუშაობაში საშეფო ორგანიზაციების, მშობელთა სამუშაო ადგილების მიხედვით წარმოება-დაწესებულებების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა.

5. სასკოლო საერთო კრებებზე დამტკიცდეს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

7. გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ ფურცლებზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ნ. შ. ვასაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების შესაბამისად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ . . . . . . . . . 3

გადაწყვეტილება — ქ. თბილისში საყოველთაო სწავლების ფონდის ხარჯვის მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 27

გადაწყვეტილება — პიონერ-მოსწავლეთა საკავშირო ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ექსპედიციის „სსრკ — ჩემი სამშობლოა" საუკეთესო საექსპედიციო რაზმების მუშაობის შემაჯამებელი რესპუბლიკური შეკრების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 33

გადაწყვეტილება — ნორჩ ფოლკლორისტთა მე-8 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 44

Решение — Об итогах проведенного в г. Тбилиси VIII Республиканского сбора-семинара юных фольклористов . . . . . . . 54

გადაწყვეიტლება — ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება-სემინარის შედეგების შესახებ . . . . . . . . 63

Постановление — О работе летнего оздоровительного профильного лагеря—школы ученических научных обществ республики «Малая Академия» . . . . . . . . . . 70

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, ბავშვთა სახლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში ბავშვთა და მოზარდთა კვების ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . . 75

გადაწყვეტილება — ქ. თბილისის მასწავლებელთა მე-9 საქალაქო კონფერენციის მონაწილეთა ინიციატივის შესახებ . . . . . . . 85